პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. კ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

რედაქციის მ[illegible]
თბილისი, კრუ[illegible]
ქ., № 4. რედ[illegible]
ყოველ დღე გარდა
უქმეებისა დილ. [illegible]
ტელეფ[illegible]
კოლ[illegible]

№ 234 კვირა, 11 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა, 1 დეკემბერი, 1921 წ. № 234

11 დეკემბერი

კვირა

1918. კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა პეტროგრადში დამფუძნებელ კრების მოთხოვნით. რამოდენიმე ათეული პირი, რომელნიც თავიანთ თავს დეპუტატებს უწოდებდნენ საბუთების წარმოუდგენლად, შეიჭრენ თავრიდის სასახლეში, თეთრგვარდიელების და იუნკრების თანხლებით.

ორშაბათს, 12 დეკემბერს 1921 წ. საღამოს 6 საათზე
პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში (მუშათა სასახლე 1-ლი სართული)
შესდგება

საქართველოს პროფკავშირთა პლენუმის სხდომა პროფკავშირთა ცენტ. ბ. ერთად

დღის წეს-რიგი:

1. ქალაქის განტვირთვის ც. გ. კომისიის მოხსენება.
2. კავშირების ც. გ. ანგარიში.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.

ამიერ-კავკასიის პარტიული თათბირი

> **„თათბირი აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელმა პარტიულმა ორგანოებმა დროზე და სწორედ გაითვალისწინეს ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერაციის შექმნის საჭიროებას.**
>
> **„ამჟამად საჭიროა გადასვლა ფედერაციის იდეის აგიტაციისა და პროპაგანდის სფეროდან, რომელთაც ჰქონდათ ფართე მასიური ხასიათი, მუშაობის შემდგომ გაღრმავებასა და გაფართოებაზე საბჭოების საშუალებით ფედერაციის სწრაფი პრაქტიკული განხორციელებისათვის...“**

უმთავრესი საკითხი, რომელიც შეადგენდა ამიერ-კავკასიის კომუნისტური პარტიების თათბირის საგანს იყო საკითხი ფედერაციის შესახებ. მას ჯამი უნდა გაეკეთებია აღძრული კამპანიის პირველი პერიოდისთვის და დაესახა გადასაჭრელათ შემდგომი პრაქტიკული ამოცანები დაწყებული დიდი საქმის გამარჯვებით დაგვირგვინებისაკენ მიმავალ გზაზე. თათბირმა ერთხმათ დაადასტურა ხელმძღვანელი პარტიული ცენტრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის საჭიროების შესახებ. თათბირზე შეკრებილი სამივე რესპუბლიკების პრაქტიკულათ მომუშავე ამხანაგები ერთსულოვანი იყვნენ იმ შესანიშნავი ფაქტის აღნიშვნაშიც, რომ დაწყებულმა კამპანიამ გამოიწვია ყველგან მშრომელთა ფართო მასებში არაჩვეულებრივი აღფრთოვანება, რომ ის გადაიქცა კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ ტრიუმფათ, გაამაგრა კიდევ უფრო პარტიული ორგანიზაციები, გააფართოვა და გააღრმავა მათი გავლენა უპარტიოთა მასებზე. ოდესღაც მჭიდრო კავშირი და დიდი მიზნებისათვის ინტიმური ამხანაგური თანასშრომლობა, გაწყვეტილი დ მოშლილი ნაციონალურ-ბურჟუაზიული პარტიების მიერ, რაც ნაკარნახევი იყო მათი ეგოისტური სეპარატისტული პოლიტიკით, კვლავ ინტენსიურათ ხორცს ისხამს, სინამდვილეში სახიერდება, ფორმალურათ ყალიბდება. ეს დაამტკიცა მრავალ-რიცხოვანმა კრებებმა, მიტინგებმა და თათბირებმა სამივე რესპუბლიკაში. ამ წინასწარ საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იმდენად შორს წასულათ უნდა ჩაითვალოს, რომ დღეს უკვე საჭიროა უშუალოთ გადასვლა ფედერაციის განხორციელებისათვის მოსამზადებელი წინასწარ პრაქტიკული მუშაობაზე და მისი ახლო მომავალში დათავება. აქედგან—სათანადო დირექტივა, მიცემული თათბირის მიერ კომპარტიებისადმი. საჭიროა მოხდეს საბჭოების არჩევნები იმ რესპუბლიკებში, სადაც ასეთები თუმცა დაწყებულია, მაგრამ ჯერ არ დათავებულა. ეს შეეხება უმთავრესათ საქართველოსა და სომხეთს. თათბირმა კატეგორიულათ დაავალა ამხანაგებს ამ რესპუბლიკებიდან, შეუდგნენ მთელი ენერგიით ამ საქმეს და ვადაც განუსაზღვრა მათ ამ მუშაობის დასათავებლათ: არა უგვიანეს მომავალი წლის იანვრის დასასრულისა. კავკასიის პარტიულ ცენტრს დავალებული აქვს, თანახმათ მის და კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტების მიერ მიღებულ საკავშირო ხელშეკრულების პროექტისა, რომელიც გამოქვეყნდა ჩვენ გაზეთებში გუშინ, შეადგინოს სათანადო კომისიები ფედერატიული ხელისუფლების მოსაწყობათ საჭირო წინასწარ პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლათ. ამნაირათ იდეა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციისა მსჯელობის, პროპაგანდა აგიტაციის კამპანიის სფეროს უკვე თანდათან სცილდება და სდგება პრაქტიკული განხორციელების გზაზე. ამიერ კავკასიის კომპარტიების დათავებული მეორე თათბირი ერთი დიდი ეტაპია რესპუბლიკების საკავშირო გაერთიანების გზაზე, რასაც ასეთი ბრძანების კილოთი მოითხოვს როგორც შინაური ისე საგარეო მდგომარეობა ამ ქვეყნების, სასიცოცხლო ინტერესები მშრომელთა მასების, საბჭოთა რეჟიმის, ინტერესები სოციალისტური რევოლიუციის. ჩვენ გამოვსთქვამთ იმედს და რწმენას, რომ თათბირის დადგენილებანი სულ ახლო მომავალში ხორცს შეისხამენ და დაწყებული დიდი საქმე მალე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება.

ბათუმის საბჭოს არჩევნებისთვის

მალე დაიწყება ბათომის საბჭოს არჩევნები.

არჩევნები, რომელსაც მშრომელი ხალხისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომელიც მან სისხლით და ბრძოლით მოიპოვა.

რუსეთში საბჭოებმა დააგვირგვინეს რევოლიუციის მონაპოვარი, ხოლო აქ საქართველოში რევოლიუციამ წარმოშვა ეს საბჭოები და ამიტომ სრულიად ჩვეულებრივია, რომ საქართველოს მშრომელი ხალხისთვის ეს პირველი არჩევნები არის არა მარტო ზეიმი, არამედ რევოლიუციონური აქტის სრულყოფა, რევოლიუციონურ შემოქმედების განსახიერება და ჩამოყალიბება.

ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ საქართველოს მშრომელი ხალხისათვის პირველია ასეთი საბჭოების არჩევა; პირველია სწორედ მიტომ რომ ეს არიან ნამდვილი, ჭეშმარიტი. ურყევი საბჭოები, რომელთა ქმნილების და ცხადყოფის იდეა ჩანერგა კომუნისტურმა პარტიამ და რომლებიც მუშათა კლასის ინტერესებს არა თუ მარტოთ გამოხატავენ, არამედ წარმოადგენენ მშრომელი ხალხის სრულ სახეს, მისწრაფებას, სიცოცხლეს და არსებას.

საქართველოშიც იყო საბჭოები, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ისინი წარმოადგენდენ ყოფილი მთავრობის განყოფილებას, რამდენეთაც ისინი **ემორჩილებოდენ** მის განკარგულებას და თავს შეიყრიდენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მენშევიკური მთავრობა ამას მოისურვებდა და რაიმე ფაქტის წინაშე დააყენებდა.

ათასხელ მართალი იყვნენ ის მუშები, რომლებიც აცხადებდნენ: რავართ ჩვენ, რა არის ჩვენი საბჭო? მას მხოლოდ მაშინ მოიწვევენ, როდესაც მოესურვებათო.

ცხადია, რომ ასეთი საბჭო ეხლა ჩვენ არც გვეყოლება და არც იქნება, ჩვენი საბჭო იქნება უზენაესი უფლებებით შემოსილი, ბატონ—პატრონი მთელი რესპუბლიკისა, სუვერენული ატრიბუტების მატარებელი და მკარნახებელი.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ისტორიაში წარმოშვა ახალი ტიპი სახელმწიფოებრივი სტრუქტურისა, ტიპი, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა და რომლის წარმოშობით მთელი მსოფლიო უჩვეულო ტრანსფორმაციის ალში გაეხვია.

ეს არის საბჭოთა სისტემა, სისტემა, რომელიც სრული ნებისყოფაა მუშათა კლასისა, სისტემა რომელმაც შექმნა ძალთა კოორდინაციის ახალი გადაჯგუფება.

დიდი რევოლიუციის აქტით მუშათა კლასმა ბურჟუაზიის ხელიდან გამოსტაცა სახელმწიფოებრივი აპარატი და საბჭოების სისტემის შემოღებით გაანადგურა, გააქარწყლა, ამოფხვრა გუშინდელ ბატონების ძალმომრეობა.

ბათომის მუშათა კლასი, თბილისის მსგავსად, ებმება საბჭოს არჩევნების მოწყობაში. ის რამოდენიმე დღის შემდეგ კიდეც ამოირჩევს ამ საბჭოს და მთელი მისი ყურადღება მთელი მისი ენერგია, მთელი მისი შემოქმედებითი უნარი ამ არჩევნებისაკენ უნდა იქნას მიმართული. ვემზადოთ არჩევნებისათვის, დავაგვირგვინოთ მისი ბრწყინვალე გამარჯვება.

მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი ხალხის მესვეურნი ავირჩიოთ საბჭოში.

თბილისი და ბაქო მხოლოდ და მარტოდ კომუნისტებს ირჩევენ.

ეს ადვილი გასაგებიცაა, რადგან, მხოლოდ კომუნისტური პარტია გამოხატავს მშრომელი ხალხის ინტერესებს. კომუნისტური პარტია და მუშათა კლასი—სინონიმია, ერთია.

გაუმარჯოს საბჭოს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს პროლეტარიატის ერთიანობას!

„უწყ“.

მუშათა დაზღვევის საკითხები

მთავარი დამზღვევი კასის გამგეობა 20-ს დეკემბრისათვის იწვევს საქართველოს ყველა კუთხიდან დამზღვევ კონფერენციას. ამ კონფერენციაზე უნდა გადაწყდეს საკითხები, რომელიც გამოარკვევს ახლო მომავლის გეგმას, თუ რანაირი სახის, რანაირ საფუძველზე უნდა აშენდეს მუშათა დაზღვევის საქმე.

უნდა ითქვას, რომ ამ საკითხს აქნობამდის ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიპყრობილი; და ის მიმდინარეობდა თითქმის ძველ, დრო მოჭმულ დებულებების ფარგლებში და მთელი რიგ შემთხვევები შრომის უნარის დაკარგვის, როგორიც არის ავათმყოფობა, დასახიჩრება, დავრდომილობა და სხვა, ან სულ ავათმყოფობას ეწერებოდა და ამ სახით აკმაყოფილებდა კასა, ან დასახიჩრებული მუშები დღევანდლამდის ღებულობენ პენსიას ძველი ნორმებით, რომელიც იყო დაწესებული ეგრედ წოდებულ „დამზღვევ საზოგადოებისაგან“. მაგრამ უმთავრესი შეუსაბამობა, მარტო იმაში როდი გამოიხატება, რომ დახმარება შრომის უნარის დაკარგვის დროს მცირეა და დახმარების ნორმების გადასინჯვა სადღეისო კითხვად არის დასმული, არამედ შეუსამებობა გამოიხატება იმ უსისტემობაში, რომელიც ახლა არსებობს დაზღვევის სფეროში: დაზღვევა, უზრუნველყოფა შრომის უნარის დაკარგვის დროს ორ და სამ დაწესებულების საზრუნავ საქმედ ხდება. არის მაგალითები, როდესაც ავადმყოფი მუშები დამზღვევი კასის გარდა პოულობენ დახმარების მიღებას, როგორც ადგილობრივად, თავის დაწესებულებაში, აგრეთვე სახალხო კომისარიატებშიც—სოციალურ უზრუნველყოფის და ჯანმრთელობის კომისარიატებშიც. ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებელია და საჭიროა გადაუდებლათ ამ საკითხის გადაწყვეტა-მოგვარება. ასეთი მდგომარეობა ერთის მხრივ აფუქსავატებს სახელმწიფო დოვლათს და შეუძლებელს ქმნის სწორე აღნუსხვას ხარჯის რაოდენობისას და მეორე მხრივ, ეს თვით მუშა-მოსამსახურეთათვის არ არის სასარგებლო, რამდენადაც ისინი მოკლებულნი არიან სწორე, სისტემატიურ მედიცინურ მზრუნველობას, რაც ავადმყოფობას ართულებს, ახანგრძლივებს და ამასთანავე ფართო საშუალებაც იქმნება სხვა და სხვა სიმულიაციისათვისაც. ორივ შემთხვევაში და მთლიანად ისევ სახელმწიფო ზარალობს, რამდენადაც ეს ხელის შემშლელი ხდება სწორი ეკონომური აღმშენებლობის საქმეში.

ასეთ პირობებში, ამატომ დამზღვევი კასის გამგეობა ორ უმთავრეს საკითხს სვამს:

1. რომ მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევის საქმე უნდა იყვეს ერთი მთლიანი „დამზღვევი ორგანო“ გამგებლობაში და მხოლოდ მისი საზრუნავ საქმეს უნდა შეადგენდეს ყველა სახის შრომის უნარის დაკარგვის უზრუნველყოფა და

2. რომ ამისათვის დამზღვევ ორგანოს უნდა გააჩნდეს საკუთარი, მტკიცე შემოსავლიანი წყარო—ბიუჯეტი— პროცენტის სახით დაკისრებული გადასახადი, და რომ ეს თანხა უნდა დგებოდეს წარმოებისა და დაწესებულებების ხარჯზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევა საყოველთაო და უფასოთ გამოაცხადა ყველა მშრომელთათვის—ეს დიდი და უმთავრესი საქმეა, და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ხოლო ახლა საქმე იმაშია, თუ როგორც ჩამოვაყალიბებთ და როგორ ჩარჩოებში მოვაქცევთ სხვა და სხვა სახის დაზღვევის საქმეს და აი, ჩვენა გვგონია, რომ აქ წამოყენებული დებულებები სწორე და მიზანშეწონილი იქნება.

დამზღვევი ორგანოები, რომელნიც იქნებიან მოფენილი მთელს რესპუბლიკაში უკეთესად შესძლებენ თვის გარშემო შემოკრიბონ ყველა დაქირავებული შრომით მცხოვრებნი და ცენტრის ხელმძღვანელობით, ერთი გეგმით, ერთი მთლიანი ნორმით, როგორც ფულით აგრეთვე სხვა დახმარებებით უზრუნველყოფენ ყველას ვინც დაკარგავს შრომის უნარს ერთი მხრივ და მეორე მხრივ, რაღაი დამზღვევ კასებს ექნებათ საკუთარი თანხები მათ შესაძლებლობა მიეცემათ ქონების მიხედვით მოაწყონ ავადმყოფთა უზრუნველყოფის საქმე.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველყოფის საქმე შრომის უნარის დაკარგვის დროს ერთ და იმავე დროს რამდენიმე დაწესებულებას ჰქონდეს დაკისრებული, და მით უმეტეს წინააღმდეგი ვართ ავათმყოფი მუშები საერთო წესით სხვა მცხოვრებელთა შორის იყვნენ გათქვეფილნი. ჩვენ ვამბობთ რომ მუშები და მოსამსახურენი, როგორც შემოქმედი ძალები განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ და მათი უზრუნველსაყოფად საჭიროა სამედიცინო აპარატების მოწყობა. ეს საქმე უნდა შეადგენდეს მხოლოდ და მხოლოდ დამზღვევი ორგანოების კომპეტენციას, რისთვისაც დამზღვევი კასები აწარმოებენ შეთანხმებულ მუშაობას სახ. კომისარიატებთან რამდენადაც, და რა საკითხებიც მათ შეეხებათ. მაგ., ჯანმრთელობის კომისარიატს დამზღვევი კასა უნაზღაურებს თავისი თანხიდან ყველა ხარჯებს იმ ამანათებში და წამლებში რასაც კომისარიატი გასცემს კასის საჭიროებისათვის მოსახმარათ და სხვა. ასევე და ამ სახით ხდება შეთანხმება სოც. უზრუნველყოფის კომისარიატთანაც დავრდომილთათვის თავშესაფარის სარგებლობაში სანამ ასეთი სახლები თვით კასებს არ მოეპოვებათ.

ამნაირათ სახელმწიფო მუქთათ არაფერს ხარჯავს და მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველყოფა ეკისრება თვით წარმოება—დაწესებულებებს და მდგომარეობის გაუმჯობესობა დახმარების ფარგლებში სრულიად დამოკიდებული იქნება წარმოების განვითარება—აღორძინებისაგან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სრულიად შეესამაბება ჩვენს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, ხელს შეუწყობს სახელმწიფოს ეკონომიურ მოღონიერებას და ამავე დროს მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევის საკითხიც მოქცეული ერთ მთლიან და ჩამოყალიბებულ ფარგალში, შესაძლებელს გახდის სახელმწიფოს ნაკლებ ტვირთად ედოს თავზე და შრომის უნარის დაკარგვის დროს—კი ყველას, მუშა-მოსამსახურეს შესაფერი მზრუნველობა და დახმარება გაეწიოს.

სანდრო იაშვილი.

არჩევნები თბილისის საბჭოში

რკინის გზები

ყველა ცეხების მთავარ სახელოსნოთა მუშა-მოსამსახურეების კრებაზე ერთხმად მიიღეს კომიაჩეიკის წამოყენებული სია. არჩეულია: ამხ. ბუდუ მდივანი, ა. ობოლაძე, პ. საბაშვილი, ს. ზაქარაძე, გ. რთველაძე, ვ. ვაშაკიძე, ა. ფირცხალავა, ვ. ქავთარაძე, ი. გოიავა, დ. ხუპულორი, ა. პაპოვი და დ. გოგნიევი — კომუნისტები); ლამქარაშვილი, დომბროვსკი, და ლატარია (უპარტიოები).

ვაგონების პარკის დეპო

კრებას დაესწრო 1000 კაცზე მეტი. ერთი ხმის წინააღმდეგ და ერთის თავშეკავებით, კრებამ ერთხმად მიიღო კომორგანიზაციის სია, შემდეგი დეპუტატებით: ამხ. ლენინი, ცხაკაია, ს. ორჯონიკიძე, ა. ოქუაშვილი, ი. მარჩალაძე, ი. მურდალაშვილი, ი. ჯეჯელავა, ს. ზაკომოლდინი და დ. სამხარაძე.

თბილისის სამაზრო მილიცია

კრებას დაესწრო 250 კაცი. აირჩიეს ამხ. კოჩლაშვილი და ჩხენკელი.

რკინის გზის ცენტრალური საცხობი

დაესწრო 170 კაცი. ერთხმად აირჩიეს კომუნისტები. ამხ. ალახვერდოვი და გ. ფურცელაძე.

რკინის გზის საავადმყოფო

კრებას დაესწრო 142 კაცი. 127 ხმის უმეტესობით აირჩიეს ამხ. ს. ჯუღელი და ა. რუსია.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო

კრებას დაესწრო 100 კაცი. ერთხმად მიიღეს კომიაჩეიკის მიერ წამოყენებული სია შემდეგი ამხანაგებით: კ. კაკაბაძე, კ. ქართველოვი, მ. ჩეტვერგოვი, ა. კალაძე, ნ. ლეჟავა, ვ. ივანოვ-კავკასკი, ა. დრიგაჩი და მ. აბრამოვი (უპარტიო).

პირველ რაიონში: ნაძალადევი

ნაძალადევის თეატრის, საბავშვო სასადილოს მუშებისა და მოსამსახურეების, მეწაღეების, დალაქების, მეპურეებისა და სხვა კრებამ, 300 კაცის თანადასწრებით ერთ-ხმად აირჩია კომიაჩეიკის მიერ წამოყენებული სია შემდეგი ამხანაგებით: ლ. აზრუმელაშვილი და ზ. ნამორაძე.

რ ა ბ ი ს ი

რუსთაველის თეატრში შესდგა რაბისის კავშირის წევრების კრება, რომელსაც დაესწრო 800 კაცამდი. სახალხო იუსტიციის კომისარის ს. ქავთარაძის სიტყვის შემდეგ, კრებამ აირჩია შემდეგი დეპუტატები: ამხ. კანდელაკი, პაკროვსკი, მოლჩანოვი და ეზეკიანი -ყველა კომუნისტები.

სახალხო განათლების კომისარიატი

8 დეკემბერს სახალხო განათლების კომისარიატის მუშებისა და მოსამსახურეების საერთო მრავალ რიცხოვანმა კრებამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. დ. კანდელაკი, კომპარტიის ცეკას მდივნის ამხ. მ. ოკუჯავას სიტყვის შემდეგ, აირჩია შემდეგი დეპუტატები: ამხ. მარიამ ორახელაშვილი და იონა ბრიხნიჩოვი.

მქსოველთა და მკერავების პროფესიონალური კავშირი

მახუდბეკოვის და მთვარაძის ყოფილ ბამბის საქსოვ ფაბრიკებისა, ძმ. ზლატაგორსკის ბამბის საწმენდი ფაბრიკებისა და „ტექსტილის“ სახელოსნოს მუშებისა და მოსამსახურეების კრებამ, ამხ. ასრიბეკოვის, ალი-ტაგი-ზადესა და ჯორბენაძის მოხსენებების შემდეგ, აირჩია მქსოველთა და მკერავების პროფკავშირების კომიაჩეიკის მიერ წამოყენებული დეპუტატები: ამხ. ალი-ტაგი-ზადე კომუნისტი და კანდიდატი ამხ. ბაბაიანცი.

კეროკლიანის და კუშნირის სავეიქრო სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეების კრებაზე აირჩიეს კავშირის კომფრაქციის მიერ წამოყენებული დეპუტატები: ამხ. ალახვერდოვი, მაქსიმოვი, კარაგალაკი, აკოფოვი (კომუნისტები) და მალინიკოვი (უპარტიო); კანდიდატებად—ამხ. არდზენოვი და ნერსესოვი (კომუნისტები).

შენობის მშენებლებისა და ხეზე მომუშავეების პროფ. კავშირი

სახელმწიფო შენობებისა და ტყის კომიტეტების, ხეზე მომუშავეთა სახელოსნოების მუშა მოსამსახურეებისა და მშენებლებისა და ხეზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის წევრების საერთო კრებაზე დეპუტატებათ აირჩიეს კავშირის კომფრაქციის მიერ წამოყენებული ამხანაგები: ძნელაძე, კილაძე და ევსეენკო—კომუნისტები.

თბილისის რკინის გზის სადგური

მე-6 რაიონის გზისა და მოძრაობის სამსახურის, საბარგო და სამგზავრო სადგურების მუშა-მოსამსახურეებისა, თბილისის სადგურის კონდუქტორების ბრიგადისა, წაღების სახელოსნოებისა და პირველ რაიონის შტაბის მუშა-მოსამსახურების კრებაზე, რომელსაც დაესწრო 2779 კაცი, მიიღო რაიკომის წარმოდგენილი სია შემდეგი დეპუტატებით: ამხ. კალანდაძე, ნ. კობიძე, ფ. ლომინაშვილი, გ. დევდარიანი, გ. ოსლონიანც, ს. კდოვლერაშვილი, ა. გოლდბაუმი, ე. ბიბინეიშვილი, ფ. გეგენიძე. კ. თავდიდიშვილი, გ. თოდრია, ა. მახარაძე—კომუნისტები, და ლ. ოსიპოვი, ტ. პარელაშვილი —უპარტიოები. საპატიო თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს ფ. მახარაძე.

მაიდანის საჩაიეები

მაიდანის საჩაიეების მუშებისა და მოსამსახურეების კრებამ, რიცხვით 126 კაცმა, ერთხმად აირჩია ამხ. შაბანოვი.

ავლაბრის პურის მცხობელები

ავლაბარ-ნავთლუღის პურის მცხობელების საერთო კრებაზე ერთხმად აირჩიეს ამხ. ვარტანდიანი.

მე-5 კომისარიატი

მე-5 კომისარიატის მუშა-გლეხთა მილიციის, „განათლების“, ელექტრონის სადგურის „ამპერის“ და „ადალიატის“ მუშებისა და მოსამსახურეების კრებამ—რიცხვით 137 კაცმა ერთხმად აირჩია ამხ. აბას გადჟიბეკოვი.

მედუქნეები და მეხორცეები

საერთო კრებას დაესწრო 305 კაცი. ერთხმად აირჩიეს ამხ. კახიანი და აპრესოვი.

სხვა და სხვა წარმოებები

მუშათა მთლიანი კოოპერატივის წისქვილის, კოოპერატივის საწყობის, 5 პურის საცხობის მუშა-მოსამსახურეების კრებაზე აირჩიეს ამხანაგი შარიკიანი.

ფედერაციისთვის

თბილისი.

მელითონეთა და ტრანსპორტის ავტო—სახელოსნოების №№ 1, 3, საბჭოთა ქარხნების №№ 1, 2, 3 ეტლებისა და სხვ. სახელოსნოების, სასურსათო კომისარიატის თივის განყოფილების ცეკავშირის სახელოსნოებს, ცენტრომოტის გარაჟის, საბჭოთა სპილენძის ქარხნის და სხვა კერძო სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებამ მოისმინა რა ამხ. ელიავას (ქართულად) და სერგეევის (რუსულად მოხსენებები „ამიერ-კავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობის“ შესახებ, უკამათოდ და აღფრთოვანებით მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ, მელითონეები და ტრანსპორტის მუშები ვესალმებით ამიერ-კავკასიის ხალხების ფედერაციას და ჩვენი ლოზუნგია—„გაუმარჯოს მთლიან სოლიდარობას“, „გაუმარჯოს საერთო შრომას და საერთო ბრძოლას რევოლიუციის და საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ“.

საქართველოს კომპარტიის ცეკას სტამბის კომიაჩეიკის კრებამ მოისმინა მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ და სთვლის კავბიუროს დადგენილებას დროულად და აუცილებლად საქართველოს შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში.

ქალაქის საცხობის № 2 მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, სავსებით უერთდება რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს დადგენილებას, სთვლის ამ საკითხს სრულიად მომწიფებულად და ითვალისწინებს რა საქართველოს შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობას, ადასტურებს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია, ერთად ერთ საშვალებაა შინაურ სამეურნეო ნგრევისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს დაიპყროს აზია ამიერ-კავკასიის გზით.

სომხეთი.

სომხეთის პროლეტარულ ორგანიზაციებიდან მიღებულია შემდეგი დეპეშები:

„სადგურ ერივანის რკინის გზელების ღია პარტიულ კრებამ მოისმინა მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ და აღნიშნავს, რომ ფედერაცია აუცილებელი საჭიროებაა, რომელიც გამოხატავს ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის ინტერესებს და საჭიროებებს. მხოლოდ გაერთიანება ჩვენი შინაური და სამეურნეო ფრონტებისა შესძლებს დაიცვას საბჭოთა რესპუბლიკები მსოფლიო კაპიტალის თინებისა და სამეურნეო ნგრევისაგან. გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის მთლიანობას! გაუმარჯოს საბჭოების მსოფლიო ფედერაციას“!

„სრულიად ქალაქის პარტიულმა

თათბირმა მოისმინა და განიხილა საკავშირო ხელშეკრულების პროექტი, ესალმება რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს ინიციატივას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ამიერ-კავკასიის მშრომელთა ინტერესების დაცვას, ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლის წარმატებას და ამიტომ საჭიროდ სთვლის საკავშირო ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების დაჩქარებას“.

აზერბეიჯანი.

ბაქოს სამაზრო საბჭოების ყრილობის რეზოლიუცია.

კავბიუროს დადგენილებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ ყრილობა ხვდება გაცხოველებული ხანგრძლივი ტაშით და სავსებით ემხროვა ბაქოს საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლიუციას.

ბაქოს საბჭოს რეზოლიუცია.

„ამიერ-კავკასია ათეული წლობის განმავლობაში განიცდიდა ნიკოლოზის რეჟიმის შავი რეაქციის გაუწყვეტელ ნაციონალურ ჟლეტების და შუღლის საშინელ დღეებს. უკანასკნელი წლების განმავლობაში ამიერ-კავკასიამ გადაიტანა ნაციონალურ სახელმწიფოების მემამულე—ბურჟუაზიის მძიმე ბატონობა, როდესაც დაშნაკელებმა, მენშევიკებმა და მუსავატელებმა კიდევ უფრო გააღრმავეს ნაციონალური განხეთქილება.

ეხლა, როდესაც ამიერ კავკასიაში უკვე დამყარდა საბჭოთა წესწყობილება, როდესაც მოსპობილია ნაციონალური განთვითოება, როდესაც აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მუშა-გლეხები ამყარებენ ახალ ძმურ ცხოვრებას, ჩვენ წინ სდგას ეკონომიური ხასიათის დიდი ამოცანები. ეკონომიურ ნგრევას—ამ ძველი რეჟიმისა და ბურჟუაზიის მიერ დაქირავებულების მემკვიდრეობას—ჩვენ მოვსპობთ მხოლოდ ამიერ კავკასიის მუშებისა და გლეხების გაერთიანებული ფრონტით. ბაქოს საბჭო, ამხ. კიროვის მოხსენების შემდეგ, ადგენს მთელი თავის ძალ ღონით ხელი შეუწყოს ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის ცხოვრებაში განხორციელებას.

გაუმარჯოს ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციას!

გაუმარჯოს მთლიან მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკას!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

ფინეთის პროვოკაცია გრძელდება.

ჰელსინგფორსი. 5 დეკემბერი. (რადიო. ვიბორგიდან კარელიაში გაგზავნეს შეიარაღებული ფინელი ჯგუფები. იუსკულში შესდგა კრება რომელმაც მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: 1) ფინეთში მყოფი კარელიის მცხოვრებლები, რომელთაც კი შეუძლიათ იარაღის ტარება უნდა გაემგზავრონ ფრონტზე. 2) ყველა იმათ კი, ვისაც აირაღით მონაწილეობის მიღება არ შეუძლია ბრძოლაში, მთელი ძალღონე უნდა მოახმარონ კარელიის მცხოვრებლების დახმარების ორგანიზაციას.

ხალხთა ლიგა თანახმაა.

ჰელსინგფორსი. 5 დეკემბერი. (რადიო. გაზეთების ცნობით ხალხთა ლიგა თანახმაა განიხილოს ფინეთის მთავრობის ნოტა კარელიის საკითხის შესახებ შემდეგ სესიაზე.

პეტროგრადის საბჭო თეთრგვარდიელების ოინების შესახებ.

მოსკოვი. 9 დეკემბერი. (რადიო). კარელიის მდგომარეობის შესახებ ამხ. კამენევის მოხსენებისა და კარელიის კომუნის წარმომადგენლის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ რომელშიც აღნიშნა, რომ კარელიის ამბები თეთრგვარდიელთა ოინების შედეგია, პეტროგრადის საბჭომ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „პეტროგრადის საბჭოს გაფართოებული სხდომა გაეცნო რა კარელიაში მომხდარ ამბებს, აცხადებს, რომ კარელიის მშრომელ რესპუბლიკაზე თეთრგვარდიელების თავდასხმაში საბჭო ხედავს ახალ გალაშქრების დაწყებას საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. პეტროგრადის საბჭომ კარგათ იცის თეთრი ფინეთის როლი და მისი სამზადისი ახალი შეტევის მოსაწყობათ. პეტროგრადის საბჭო აცხადებს, რომ მშრომელ კარელიის რესპუბლიკაზე თავდასხმის მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება ფინეთის ბურჟუაზიასა და ფინეთის მთავრობას. პეტროგრადის საბჭო დარწმუნებულია, რომ ფინეთის მუშებს და გლეხებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ არ სურთ ომის წარმოება და ნებას არ მისცემს თავის ბურჟუაზიას, საქმე ომამდე მიიყვანოს.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ

ᲢᲧᲕᲔ ᲞᲔᲢᲚᲘᲣᲠᲔᲚᲔᲑᲘ

ოდესსა 8 დეკემბერი. ოდესაში ჩამოიყვანეს ტირასპოლში ბანდების უკუქცევის დროს შეპყრობილი ტყვე პეტლიურელები. ირკვევა რომ ამ ბანდებში მონაწილეობდნენ პოლონეთის და ვრანგელის აფიცრები, დახოცილ ბანდიტებს შორის აღმოჩნდა ცნობილი ბანდიტის ზაბოლოტნის თანაშემწე [illegible]. თვის იერიშების დროს ბანდიტებს ხელს უწყობიათ მოსაზღვრე ჯარის კაცები, სოფ. პარკანის მილიციის უფროსი და ოლქის აღმასრულებელ კომიტეტის რამდენიმე წევრი. დევნის დროს მდ. დნესტრში დაიღრჩო 50 ბანდიტი ძმათა სასაფლაოში დაკრძალეს ბანდიტების მიერ წამებული 121 კაცი დაკრძალვის დროს ორატორები ფიცსა სდებდნენ, რომ სამაგიეროს გადაუხდიან ბანდიტებს.

— ჯარების სარდალმა ამხ. დონიხმა გამოაქვეყნა ცნობა რუმინელების დახმარებით პეტლიურის ბანდების ტირასპოლის რაიონში თავდასხმის შესახებ. ცნობა აღნიშნავს, რომ პეტლიურელებმა და დანარჩენ კონტრრევოლიუციონურ ორგანიზაციებმა მოახდინეს 19 ნოემბერს ტირასპოლის რაიონში სოფ. ტარნოვკაზე ბანდიტური თავდასხმა. წითელ ნაწილების მიერ თავდასხმა მოგერიებულ იქნა. დაწვრილებით საქმე მდგომარეობს შემდეგში: 16 ნოემბერს რუმინელებმა დაჰყარეს პროვოკაციული ხმები, რომ რუმინის ჯარის ნაწილების მანევრები დანიშნულია 19 ნოემბერს. ამ დღეს, გათენებისას, 1200 ბანდიტი დუბიკინის სამოქალაქო გამგეობის ექსი უფროსის ხელმძღვანელობით და რუმინის ჯარის ნაწილების მფარველობის ქვეშ გამოემართა ჩვენსკენ 1 სანაპირო ჯარის კაცებმა, თავის მცირე რიცხოვანობის გამო სროლის შემდეგ დაიხიეს. ამას შემდეგ ბანდიტებმა სროლით დაიკავეს ს. პარკანი და ადგილობრივ მცხოვრებთა მობილიზაცია გამოაცხადეს. ტირასპოლის გარნიზონმა გამოგზავნა რაზმები, რომელმაც მოკლე ხნის ბრძოლის შემდეგ დიდი ზარალით უკუაქციეს ბანდიტები. ბანდიტების მცირე ნაწილი გაიქცა ჩრდილოეთით ხოლო მეორე ნაწილმა კი რუმინიის მფარველობის ქვეშ, გადმოლახა კვლავ საზღვარი. პარკანში ბანდიტებმა, რამდენიმე უარაღო მცხოვრები დახვრიტეს.

უწესრიგო დახევის დროს ბანდიტებმა დასტოვეს მრავალი ტყვე და დაჭრილები და მათ რიცხვში თეთრგვარდიელი აფიცრები. ბანდიტებმა დაჰკარგეს ბევრი მოკლული და დაჭრილი! გამორკვეულია პროვოკაციული მუშაობა რუმინიის სარდლობისა, რომელიც ყოველ მხრივ ეხმარებოდა მათ გადმოსვლას და იცავდა თავის ჯარებით. ჩვენ ჯარებზე არ იმოქმედა რუმინიის პროვოკაციამ, ანგარიში გაუწიეს საერთაშორისო უფლებას, არ ასტეხეს სროლა და არ დაიწყეს რუმინელების წინააღმდეგ საომარი მოქმედება. ის საბუთები, რომელიც ჩვენ ჩავიგდეთ ხელში, ნათლად მოწმობენ, რომ პეტლიურელები რუმინიის ჯარის ნაწილების ნებართვით დათარეშობენ ადგილობრივ მცხოვრებლების დახმარების იმედით. ეს იმედები კი მათ გაუცრუვდათ, ვინაიდან ადგილობრივი მცხოვრებნი მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების მხარეზეა.

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲔᲑᲨᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ.

ვირტის განცხადება.

ბერლინი. 7 დეკემბერი. (რადიო). ბერლინის პრესის წარმომადგენელთა მიღების დროს კანცლერ ვირტმა აღნიშნა, რომ კულტურის ინტერესები მოითხოვს ხალხების ერთმანეთთან დაახლოვებას. აუცილებელია გადახედვა გადასახადის საკითხისა.

გერმანიის ეკონომიურ კრახისგან გადარჩენის მიზნით, პრესის წარმომადგენლებს ვირტმა მიმართა თხოვნით, რათა ეს აზრი გამოსთქვან მათ გაზეთში და ამასთან ერთად დაჟინებით უმტკიცონ მთელ ხალხს გადასახადთა სისტემის გაფართოების აუცილებლობა.

ინგლის-გერმანიის ურთიერთობა.

ნაუენი. 9 დეკემბერი. (რადიო). გერმანულ რეიხსბანკის და ინგლისის ბანკებს შორის აღდგენილია სისტემატიური ურთიერთობა.

ეკონომიური ხელშეკრულება.

ბერლინი. 9 დეკემბერი. (რადიო) გერმანიის და პორტუგალიის შორის, დაიდო ეკონომიური ხელშეკრულება. გერმანია, აღჭურვილია იმავე უფლებებით, როგორც უცხო სახელმწიფოები, პორტუგალიის კოლონიების სარგებლობაში, გერმანიის უძრავი ქონება, რომელსაც ლიკვიდაცია არ ჰქონდა გაკეთებული და საერთოთ ქონება დაბრუნებული იქნება.

გერმანიის კონტრიბუცია.

ნაუენი. 9 დეკ. (რადიო. ლუბერი, ტექნიკურ და სამხედრო ექსპერტების თანხლებით გაემგზავრა ლონდონში, ინგლისის ფინანსთა და ვაჭრობამრეწველობის მინისტრთან გერმანიის კონტრიბუციის საკითხის გამოსარკვევათ. ლონდონში აგრეთვე უნდა გაემგზავროს რატენაუ. ლონდონის თათბირზე „ტანი“ დიდ იმედებს ამყარებს, რომელიც წინასწარ დაპირებებთან ჩაითვლება ვაშინგტონის კონფერენციის წინ. გერმანიის პრესსა ლუშერის დანიშნვას თანაგრძნობით ხვდება.

არეულობა ბერლინში.

რომი, 9 დეკ. (რადიო). ბერლინში არეულობა გრძელდება. არეულობაში უმთავრესად მონაწილეობას იღებენ უმუშევარნი.

ჰანოვერი. ინგლისური რადიო იტყობინება: მამაკაცნი და დედაკაცნი ბერლინში იკლებდნენ სასურსათო მაღაზიებს. ვაჭრები იცავენ თავიანთ ქუჩებს და ფანჯრებში ბარიკადებს აკეთებენ. კომუნისტურ პრესის ლიდერები მოუწოდებენ მუშებს მთავრობის წინააღმდეგ მოქმედების დასაწყებად. გალლეში იკრიბება დიდი მიტინგები მუშებისა. არჩეულია კომიტეტი, რომელსაც ევალება წარუდგინოს მოთხოვნა შინაგან საქმეთა მინისტრს დატუსაღებულთა განთავისუფლებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან საერთო გაფიცვით.

ბერლინი. ქალაქის ცენტრში გრძელდება სასურსათო და ფეხსაცმელების მაღაზიების აკლება. ბერლინში დატყვევებულია 125 კაცი. ვეისენაიში 44. პოლიცია მთლად გამზადებულია საბრძოლველათ. ბურჟუაზიულ პრესის ნაწილი ამტკიცებს, რომ მთავრობის სულის ჩამდგმელნი კომუნისტები არიან. პოლიციის უფროსის გამოცხადებით ჯერ არაა დამტკიცებული კომუნისტების ორგანიზაციის მიერ მონაწილეობის მიღება ამ არეულობაში. გაზეთი „ფრეიხაიტი“. კომენტარიებს უკეთებს რეპრესიულ ზომებს არეულობის მონაწილეთა წინააღმდეგ, სწერს: ცალიერ კუჭებზე ჯოხებით გალაშქრების მაგიერ, სახელმწიფომ ხელი უნდა დაადოს ფულის ყუთების მქონე კლასს.

ბერლინი. „როტე-ფან“ იუწყება: ტორნუში, ლიხტენბურგში, ვიტტენბერგში, ნუგარდეში და 100 პოლიტიკურმა ტუსაღმა ტეგელში შიმშილობა გამოაცხადეს. დიუსელდორფში მრავალრიცხოვანმა მიტინგმა გერმანიის მთავრობას ტელეგრაფით მიმართა მოთხოვნით, რათა დაუყონებლივ გამოუშვან პოლიტიკურები და საერთო ამნისტია გამოაცხადონ.

„როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ მუშებმა შემდეგი მოთხოვნები უნდა წამოაყენონ: 1. უმრავლესობის სოციალისტების დაუყონებლივი გამოსვლა პრუსიის კოალაციიდან და გერმანიის ბურჟუაზიულ პარტიებთა განხეთქილების მოხდენა; 2. საჩქარო შეტანა ორგანიზაციულობისა სტიქიურ გამოსვლებში, და არ უცადონ მანამ მხდალი ბიუროკრატია პროფესიონალურ კავშირებისა ამ ბრძოლის ხელმძღვანელობას ხელთ არ ჩაიგდებს.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ

აღორძინებისთვის ზრუნვა.

რომი, 7 დეკ. (რადიო). ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტ გარდინგმა წარუდგინა კონგრესს ოფიციალური განცხადება, რომელშიაც კატეგორიულად ხაზს უსვამს, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების სურვილს, ხელი მთელ მსოფლიოს კულტურულ-ეკონომიურად აღორძინებას.

ამერიკის შეიარაღება.

ნაუენი, 9 დეკ. (რადიო . შეერთებულ შტატების სამხედრო მინისტრმა განუცხადა კონგრესს თავის მოხსენებაში, სამხედრო თანხების გადიდების საჭიროება სამხედრო მინისტრის აზრით, აუცილებელია: 1. გამოსაშვები კადეტთა რიცხვის გადიდება, რადგანაც არმიას მეთაურნი სჭირია; 2. საჰაერო ფლოტის გაძლიერება და 3. შორსმსროლელ და ციხე-სიმაგრის ზარბაზნების წარმოების გაძლიერება. შორსმსროლელი იარაღის გაძლიერების შესახებ სამხედრო მინისტრმა მოიყვანა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელიც სახედრო სამინისტროს გაჰყავს.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

საფრანგეთის შეიარაღება.

პარიზი, 4 დეკ. (რადიო). ბრიანმა ჰავრში გემიდან გადმოსვლის დროს მიმართა ხალხს სიტყვით, რომელშიც აღნიშნა ვაშინგტონის კონფერენციის მნიშვნელობა, და ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთს ესაჭიროება არსებულ რიცხვის ჯარის ყოლა, მანამდის სანამ არ მიიღებს გარკვეულ პასუხს მოკავშირეთა მთავრობებისაგან, რომ გერმანიის მხრით თავდასხმა არ განმეორდება.

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ

ქრისტიანები ოსმალეთში.

რომი, 6 დეკ. (რადიო . ოსმალეთის მთავრობა შეფიქრიანებულია იმ შთაბეჭდილებით, რომელიც მოახდინა ევროპაზე, კილიკიიდან ქრისტიანულ მოსახლეობის გადასახლებამ. ოსმალეთის მთავრობამ წინადადებით მიმართა უწმინდეს ტახტს შეჰკრას მასთან უშუალო შეთანხმება რელიგიის თავისუფლებაზე.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ.

იტალიის ბიუჯეტი.

რომი 9 დეკემბერი (რადიო). იტალიის დეპუტატთა პალატაში, მოსმენილია ფინანსთა მინისტრის მოხსენება იტალიის ბიუჯეტის საკითხზე. აუცილებელია დაჩქარებით მიღებულ იქნეს ზომები ბიუჯეტის მოსაწესრიგებლათ, და ამისთვის საჭიროა ემისიის შეჩერება შემდგომში, რათა ამით შემცირებულ იქნეს ქაღალდის ფულის რაოდენობა. აუცილებელია დაფარულ იქნეს მოკლე ვადიანი ვალები, რომლებიც მძიმე ტვირთად ედება იტალიას, რათაც არ უნდა დაჯდეს, უნდა ავიცილოთ დეფიციტი, მით უმეტეს, რომ იტალიას ამასთან ბრძოლა შეუძლიან. მთავრობა მოსთხოვს მთელ იტალიურ საზოგადოებას სერიოზულ მსხვერპლს ამისთვის, დასასრულ ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ იტალიის სახელმწიფო ვალი უდრის 190,303 მილიარდ ლირას, მაშინ როდესაც ომამდის ძლივს აღიოდა 14 მილიარდამდე, ამასთანავე ხაზს უსვამს, რომ ლირის კურსის დაცემა აიხსნება იმ ქაოსით და ეკონომიურ კრიზისით, რომელიც გამეფებულაა ევროპაში.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ინგლის-ირლანდიის შეთანხმებისთვის.

ლონდონი, 8 დეკ. (რადიო). ინგლის-ირლანდიის შეთანხმების გამო დუბლინში მანიფესტაციები გაიმართა.

ირლანდიის დამოუკიდებლობა.

რომი, 3 დეკემბერი (რადიო). თემთა პალატაში გუშინ გამოცხადებულ იქნა თავისუფლება და დამოუკიდებლობა ირლანდიის სახელმწიფოსი.

ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

რომი. გაზეთი „კორიერა დელასერრა“ სცდილობს ახსნას მიზეზი რუსეთ-იტალიის შეთანხმების შეფერხებისა, გაზეთის აზრით ამაში დანაშაული მიუძღვის საბჭოთა მთავრობის დელეგაციას, რომელიც ვითომდა და მოითხოვს გამორკვევას იტალიის მთავრობის დამოკიდებულებას ყოფილ მეფის მთავრობასთან. გაზეთი სწერს, რომ რუსეთის დელეგაცია იმედოვნებს საბჭოთა მთავრობის დე-იურეთ ცნობას. ამის წინააღმდეგ ილაშქრებს გაზეთი „პოპოლო რომანო“, რომელიც უთანხმოების მიზეზათ სცნობს ყოფილ რუსულ საელჩოს საკითხს, შემდეგ გაზეთი სწერს. რუსეთ-იტალიის ხელშეკრულებაში არის მუხლი იმის შესახებ, რომ ყოველი მხარე იკავებს თავს მტრულ აქტებისგან მეორე მხარის მიმართ. ბოროვსკი მოითხოვს, რომ ამ მუხლის ძალით იტალიამ არ სცნოს რუსეთის საელჩოზე დიპლომატიურ დაწესებულების სახელით, რომ იტალიის ოფიციალურმა ორგანოებმა შეაჩერონ ოფიციალური მიმართვა საბჭოთა მთავრობასთან მტრულათ განწყობილ დაწესებულებებთან. ეგრედ წოდებული რუსული საელჩო, რომელიც სარგებლობდა დიპლომატიურ პრეროგატივებით, წარმოადგენს მთავრობას, რომელიც 1917 წლიდან აღარ არსებობს, წარმოადგენს რეჟიმს, რომელსაც არ სცნობს არავინ. ეს ფაქტია, რომელიც არც ერთ კულტურულ ქვეყანაში არ გაგონილა და შესაძლებელია მხოლოდ იმ ატმოსფერაში როგორიცაა იტალიის საგარეო სამინისტროს ატმოსფერა არაა საჭირო, ათავებს გაზეთი, წასვლა მოსკოვში, რომ ეს პუნქტი ცნობილ იქნეს აქტად, რომლითაც პირდაპირი დახმარებას უწევს იტალიაში დარჩენილ მეფის კონტრრევოლიუციონურ მოხელეების მოქმედებას.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

საფრანგეთის პოლიტიკა.

ნაუენი 9 დეკემბერი (რადიო რომის გაზეთი „პოპოლო რომანი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთის პოზიცია კონფერენციაზე განიარაღების შესახებ გამოწვეულია არა გერმანიის შიშით, არამედ მისწრაფებით, რომ როგორმე განახორციელოს ვერსალის ხელშეკრულობა. რათა დაუმორჩილოს საფრანგეთის კონტროლს გერმანიის მრეწველობა, გაზეთი აღნიშნავს, რომ იტალიას არ შეუძლიან შეუერთდეს საფრანგეთის პოლიტიკის ხაზს და მის მისწრაფებას სამხედრო და ეკონომიურ ბატონობისაკენ ევროპაში.

გერმანია ვაშინგტონის კონფერენციაზე

ლონდონი. 9 დეკემბერი (რადიო). ვაშინგტონის კონფერენციამ რამდენიმე თათბირის შემდეგ დაავალა გარდინგს გერმანიის მოწვევა, კონფერენციაში მონაწილეობის მიღებისთვის, თუმცა აქვე ხაზ გასმული იყო, რომ ეხლა მიმდინარე კონფერენცია ვაშინგტონში არ შეეხება ფინანსიურ კითხვებს, არამედ მხოლოდ განიარაღების საკითხს.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◆ **ქალ. ბათომის საბჭოს არჩევნები.** ბათომის ქალაქის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნები უკვე დაიწყო. კამპანია დიდი აღფრთოვანებით მიმდინარეობს. ყველგან იმარჯვებენ კომუნისტები.

◆ **მიწათ-მოქმედების კომისარიატში.** მიწათ-მოქმედების კომისარიატის მიერ დანიშნულია კომისია იმ საკითხების მოსაგვარებლათ, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ყოფილ სამაზრო ერობების განკარგულებაში მყოფ საფონდო ბაღების გამოყენებასთან.

◆ **მეცნიერთა ყრილობა.** პეტროგრადში 18 დეკემბერს მოწვეულია სრულიად რუსეთის ენტომოლოგთა პირველი ყრილობა, სადაც მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ მივლინებულია სოფლის—მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სპეციალისტი—ენტომოლოგი ამხ. ვინოკუროვი.

◆ **საგეოგრაფიო საზოგადოება.** რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა საერთო კრებაზე 4 დეკემბერს გადაწყდა მთელი რიგი დიდ მნიშვნელოვან საორგანიზაციო საკითხები. აირჩიეს კომისია წესდების გადასასინჯავად, რომელშიც შევიდნენ: ვორონოვი, ზაიცევი, ლაისტერი, და ჩურსინი. განმანაწილებელ კომიტეტში მის შესამსებლად—ლისიციანი, პალიბინ სანკოვსკი და ტერ ავეტისიანი. სარევიზიო კომისიაში: ვორონოვი, ზაიცევი და ტროცკი. საწევრო გადასახადი 1921 წ. 10 ათასი მანეთი. გამანაწილებელ კომიტეტს დაევალა 1922 წ. ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა და განყოფილების მოქმედების გამოცოცხლება. განმანაწილებელი კომიტეტის სხდომები იქნება 2 ჯერ კვირაში.

შემდეგი საერთო კრება იქნება 18 დეკემბერს.

◆ **საფოსტო მარკების კონკურსი.** ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ მოწყობილ ს. ს. ს. რ. საფოსტო მარკების კონკურსზე წარდგენილია 5 დაბეჭდილი კონვერტი. ჟიური მხატვარ შავარდნაძის, შარლემანისა და გრინმევსკის მონაწილეობით. პირველი პრემია—1,000,000 მან. მიუსაჯა ნამუშევარს 7 სურათს დევიზით: „პრიმე ვერა“—500,000 მან. დაჯილდოვებულია ნამუშევარი „წითელ ვარსკვლავის“ დევიზით—7 სურათი, ლიტოგრაფიულ საშუალებით დაბეჭდილნი. მესამე პრემია—300,000 მან. მიუსაჯა „აღორძინების“ დევიზით ნამუშევარს—8 სურათი.—დანარჩენი ნამუშევრები „ფედერას“-ის—9 სურათი და „ფორდ“-ის დევიზებით—8 სურათი, როგორც შეუფერებელნი დავალებათა მხატვრულად გადაწყვეტისა, არ იქმნენ დაჯილდოვებულნი. კონვერტების გახსნისას ნახატების ავტორებათ აღმოჩნდნენ: დევიზ „პრიმევერა“-სი ამხ. შმერლინგი. „წითელ ვარსკვლავის“ დევიზის ამხ. ლევინი და დევიზ «აღორძინებისა» ამხ. ზანისი, საფოსტო მარკები დამზადებულია 25, 50, 100, 250, 500, 1000 და 5000 მან. ღირებულებისა და ეთანხმებიან ყოფილ ქართულ მარკების ზომას. ნახატი შესრულებულია ქართულ სტილით, ს. ს. ს. რ. ღერბით და ქართული წარწერით: „სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“ ჟიურის სხდომა სწარმოებდა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის, თანაშემწის ამხ. წერეთლის და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო—საინსტრუქტორო განყოფილების გამგის ამხ. ხუქუას თავმჯდომარეობით.

◆ **ახალი წიგნები:** გამოვიდა ახალი წიგნები: შალვა კარმელი: „ბაბილონი. ლექსთა კრებული. რაჟდენ გვეტაძე „ღამეები“ ლექსთა მეორე კრებული. წიგნი კარგ ქაღალდზეა გამოცემული ალექსანდრიულ ყდაში და ღირს პირველი 10 ათასი, მეორე 5 ათასი მან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

აბრეშუმის პარკის მონოპოლია.

თანახმად საქართველოს რევკომის დეკრეტის № 45, შესახებ აბრეშუმის პარკის მონოპოლიისა და მის ცხოვრებაში გასატარებლად მომარაგების სახალხო კომისარიატმა ამ ოპერაციის რწმუნებულს ამხ. ნ. ქუთათელაძეს გადასცა 1,996,000,000 მან. და აგრეთვე სხვადასხვა სამანუფაქტურო საგნები—134,492,304 არშინი. ამ ოპერაციის გასატარებლათ საჭიროა უფრო მეტი მნიშვნელოვანი სახსარი, მაგრამ მათი თავის დროზე გამოძებნა შეუძლებელი იყო. მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ აგრეთვე დარიგებულია კოოპერატივებსა და დამამზადებელ ორგანიზაციებზე ავანსი. მათი ანგარიშები ოპერაციის დაუმთავრებლობის გამო ჯერ არაა წარმომადგენელი. ოქტომბრის თვის განმავლობაში სულ გაცემულია 11,000 ფ. ყაჭის პარკი. ყაჭის პარკის დამზადება ამ სეზონში ჯერ კიდევ გრძელდება. მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები, რაც შეიძლება, მეტ ყაჭის პარკის რაოდენობის დასამზადებლად. ყაჭის პარკსა და ძაფს იძენენ, როგორც მწარმოებლებისაგან, აგრეთვე კერძო პირებისაგანაც.

დამზადებაზე იმოქმედეს შემდეგმა არახელსაყრელმა პირობებმა: 1. დამზადება მოხდა სამოქალაქო ომის პერიოდთან ერთად ახალ ხელისუფლების დამყარებასა და ახალ ორგანოების მოწყობასთან; 2. გადაცვლისთვის საკმაო საქონლის უქონლობა, რომელიც მომარაგების სახალხო კომისარიატს ხელს უშლიდა საქონლის ყაჭის პარკზე უშუალო გადაცვლის წარმოებაში, ვინაიდან მწარმოებლები ამჯობინებდნენ პარკის კერძო პირებზე გასაღებას ნაღდ ფულზე; 3. მონოპოლიის საწინააღმდეგო აგიტაცია და საბოტაჟისკენ მოწოდება; 4. ფაბრიკატების მცირე რაოდენობა და მანუფაქტურის სიძვირე. მიუხედავად ამისა მომარაგების სახალხო კომისარიატი დარწმუნებულია, რომ მიმდინარე წლის კამპანია არ იძლევა ზარალს, პირიქით დასტოვებს ცოტაოდენ მოგებასაც კი.

ფართლეულობის მრეწველობის დათვალიერება.

ფართლეულობის მრეწველობის წარმოებათა გამომკვლევმა კომისიამ, რომელიც მოაწყო ფართლეულობის დამზადებელთა და მკერავთა პროფკავშირის ც. გ. ეკონომ. განყოფილებამ, დაამთავრა თავის მუშაობა. კომისია მუშაობდა მათი მდგომარეობისა და შემდეგი ბედის გამოსარკვევად. ეკონომიური განყოფილება დათვალიერებულ წარმოებათა სამეურნეო ორგანოებთან ერთად იმუშავებს სახელმწიფო დაწესებულებათა მეურნეობის წარმოებითი პროგრამას დათვალიერებულია შემდეგი წარმოებები—ბამბის სართავი ფაბრიკა, ყოფილი მახმუდ-ბეგოვისა და თვარაძის. ბამბის გამრჩევი ქარხანა ყოფილი ძმ. ზლატოგორსკებისა, აბრეშუმის საქსოვი სახელოსნო სულუხიასი და მაუდის ფაბრიკა—კუშშირი.

კრედიტი „სტრომა“-ს.

სახელმწიფო შენობათა კომიტეტის კოლეგიამ მოიწონა სახალხო ბანკში სტრომას განყოფილებისთვის 200 მილიონ მანეთის კრედიტის გახსნის პროექტი. ვალი ნება დართულია სახელმწიფო ბანკის მიერ 70.000 ცალ მარსელის კრამიტის გირაოს ნაცვლად წლიურად 36 გადასახადით.

აგურ-კრამიტის წარმოება.

სახელმწიფო შენობათა კომიტეტის კოლეგიამ დაადგინა მოიწვიოს, როგორც სპეციალისტი აგურ-კრამიტის საქმის ქარხანა „ფაინს“-ში ინჟენ. ლუდჟი-ლიბერტი (იტალიიდგან). ქარხნის სამეურნეო ნაწილის პასუხის მგებელ გამგედ კოლეგიამ დანიშნა მაილოვი.

ულეველის მორწყვა.

სახელმწიფო შენობათა კომიტეტის კოლეგიამ საჭიროდ სცნო შეუდგნენ საჩქაროდ ულეველის მოსარწყავის გაყვანას. თანახმად სოფ. სიმონეთის გლეხობის დადგენილებისა კოლეგიამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ს. მ. უ. ს. წინაშე ამ მუშაობის დასაწყებად 10 მილიონ მანეთის მიცემის შესახებ.

სარწყავი არხის გაყვანა შორაპნის მაზრაში.

შორაპნის მაზრის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის განყოფილების კოლეგიის თაოსნობით გაჰყავთ სასწრაფო არხი სოფელ საქარასვირის მიმართულებით, სიგრძით 20 ვერსი. გაყვანისათვის სამუშაოდ გამოცხადებულია შემდეგი სოფლების შრომის მობილიზაცია: სვირისა, საქარასი, არგვეთა-ქალა-ტყე რუფუსთისა, ღვანკითისა, თურდუსელის, ზესტაფონის. კვალითისა და ცხრაწყაროსი. მუშაობაში მონაწილეობას იღებენ კომუნისტურ პარტიისა და ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის წევრები.

შემფასებელი კომისიები.

მომარაგების საბჭომ მოაწყო 3 კომისია მის საწყობებში არსებულ საქონლის კალკულიაციისათვის. კომისიას წინადადება მიეცა დაუყონებლივ შეუდგეს მუშაობას და დაამთავროს იგი ერთ თვეში ისე, რომ 1922 წ. 1 იანვრისათვის იყოს საქონლის სრული კალკულიაცია. კომისიების საერთო ხელმძღვანელობა და საჭირო ინსტრუქციების შედგენა ევალება აღრიცხვა-დამზადების განყოფილებას.

ბორჯომის მინერალური წყლები.

ს. პ. კ. ს. ეკონ. განყოფილების სხდომაზე ს. მ. უ. ს. წარმომადგენელთან ერთად ბორჯომის მინერალურ წყლების ქარხნის წარმოების გაძლიერების შესახებ დაადგინეს საჩქაროთ შეკვეთილ იქნას გერმანიაში ჩამომსხმელი მანქანა „კუან“-ის სისტემის, რისთვისაც მოთხოვნილ იქნას 50 მილიონი მანეთი. დროებით დამყარებულია მუშათა და მოსამსახურეთა შტატი 70 კაცისაგან. ქარხნის კარგად მოწყობის შემდეგ დამყარდება შემდეგი შტატი: ერთ წყებათ მუშაობისათვის 70 კაცი, ორად კი 142 კაცი.

წყლის ფასი სახელმწიფო დაწესებულებათათვის დამყარებულია 6500 მანეთი ბოთლზე. კერძოთათვის კი—7000 მანეთი ბოთლზე.

ავჭალის ქარხანა.

ს. მ. უ. ს. ქიმიურ განყოფილებამ ავჭალის შუშის ქარხნის წარმოების გაძლიერებისათვის დაადგინა გამოიწეროს საჩქაროდ ბაქოდგან 8-10 კვალიფიციური ხელოსნები.

ეროვნული

სრულიად საქართველოს სახალხო განათლების და პოლიტგანათლების განყოფილ. მეორე ყრილობა

ამხ. ბრიხნიჩოვის მოხსენება.

საორგანიზაციო მუშაობა განათლების კომისარიატმა ფაქტიურად დაიწყო ოქტომბრიდან. ჩვენ არსაიდან არაფერს არ ვიღებდით და არაფერი გვქონდა და ამავე დროს გვიხდებოდა სხვის მომარაგება და ფულების გაცემა.

ადმინისტრატიულ სფეროში სამსახურის და საორგანიზაციო მუშაობის დროს ბევრი თანამშრომელი პირდაპირ გმირობას იჩენდა. პირველ ყრილობაზე ჩვენ დავადგინეთ, მთელი ძალღონე მიგვემართა აპარატის მოწყობისაკენ. ჩვენ მოვახდინეთ აპარატის ცენტრალიზაცია. პირველად ჩვენ მოვსპეთ „გრუკავროსტა", რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ გასივებულ განათლების კომისარიატს. თანამშრომლებისა ნაწილი დავითხოვეთ, სხვა საუკეთესო ნაწილს კი ჩვენ მობილიზაცია გაუკეთეთ „გრუკავროსტას" ნანგრევებზე ჩვენ შევქმენით სახელმწიფო გამომცემლობა, რომელიც ეხლა მტკიცედ სდგას. შევქმენით რა მთლიანი განათლების კომისარიატი, ჩვენ ისე მოვაწყეთ, რომ ყველა.. შეიქნა მეთოდიური ორგანოები ორ ცენტრთან: აკადემიურთან და ორგანიზაციულ ცენტრთან. რამოდენიმე თვეში კოლეგიამ განიხილა 1700 საქმე, გამოსცა 23 დეკრეტი, 30 ცირკულიარი, შემოვიდა 13,000 ქაღალდი, გავიდა—10,263, ამავე დროის განმავლობაში გაიცა 11,000 მანდატი და 4,000 უფასო ლიტერი. აი ჩვენი მუხრუჭები.

ჩვენი ორგანიზაციული მართვა—ეს ლაბორატორიაა განათლების კომისარიატისა; რომ შექმნა ის, საჭიროა კომუნისტური ელფერის ადამიანები, დიდი პედაგოგიური გამოცდილება და ფართო ჰორიზონტი. ასეთი ხალხი ცოტაა არა თუ ჩვენში, არამედ საბჭოთა რუსეთშიაც და მაინც საორგანიზაციო სამართველო მუშაობდა. ჩვენ მოვამზადეთ მთელი რიგი ინსტრუქტორები პროვინციებისათვის და ჩვენ გარდავქმენით სრულიად მოუმზადებელი პირები გამოცდილ ხელმძღვანელებათ.

ეხლა, გავითვალისწინეთ რა წარსული შეცდომები, ჩვენ გავხსენით ახალი საინსტრუქტორო კურსები და ეს კურსები ყიხადელზე უკეთესი იქნება. მთავარი მიზანი საორგანიზაციო მმართველობისა—საინსტრუქტორო პერსონალის მომზადებაა; მისი მიზანია აგრეთვე—საინფორმაციო—სტატისტიკური, განყოფილების მოგვარება და მათი ადგილებთან დაკავშირება.

მაგრამ სახალხო განათლების განყოფილებები ადგილებიდან არ იძლევიან ცნობებს და ამიტომ ძნელია მუშაობა კავშირის გასამტკიცებლად.

სპეციალურ მომარაგების განყოფილებამ მთელი დროის განმავლობაში მიიღო 400,000,000 მან. და აი ჩვენ წინ უკვე ნათელი სურათია: ჩვენი სახელოსნოები რვეულებს საარქივო ქაღალდიდან აკეთებენ. ჩვენ გვიხდება სხვა და სხვა ხაკარ-მუკარის გამოყენება, მაგრამ ჩვენ მაინც ვმუშაობთ. ჩვენ გვაქვს რამოდენიმე ასი ათასი წიგნი, რომლების ნაწილიც ჩვენ ჩამოვართვით წიგნის გამყიდველებს მიუხედავათ ამისა ჩვენ შევძლო წიგნებზე ჯერ-ჯერობით დაგვეხარჯა სულ მხოლოდ 60 მილიონი მანეთი. ჩვენ გვაქვს საქანდაკო სახელოსნო, მას არ აქვს მარტო სააგიტაციო მნიშვნელობა: მან სხვა და სხვა დღესასწაულებისათვის დაამზადა 154 პატარა და 24 კაბინეტის ბიუსტი.

ოქტომბრის დღესასწაულის პერიოდში სახელოსნომ დაამზადა 6 ქანდაკება, 75 ბიუსტი—მონუმენტი, 50 ცალი საკაბინეტო ბიუსტი და 125 ვაზა.

ეს დაწესებულება უკვე წარმოებითია. ჩვენ გვაქვს გიპსის ქარხანაც და რ. ს. ფ. ს. რ. განათლების კომისარიატსაც კი შევთავაზეთ ჩვენი გიპსი. ჩვენ გავხსენით მაჩვენებელი სახელმძღვანელების ინსტიტუტი. ჩვენ გვყავს საუკეთესო სპეცები, მაგრამ უკვე 3 თვეა, რაც ამ სპეცებს ვერ მიუღიათ ინსტიტუტისათვის შესაფერი შენობა.

სპეციალურ მომარაგების განყოფილებამ სახალხო განათლების განყოფილებებს დაურიგა:

	რვეული.	ფანქრები.	კალმები.
ბათომისას	30931	3655	45 კოლ.
გორისას	21000	4740	23 „
ზუგდიდისას	18000	1708	21 „
ოზურგეთისას	43090	3185	34 „
სენაკისას	31380	2877	34 „
თბილისის	33200	4170	102 „
და სხ. სულ	350000	60000	და 800 კ.

მაჩვენებელ სახელმძღვანელოების სახელოსნოში დამზადებულია 194 სა[illegible]

თვის, როგორიცაა: დედა-მიწის ზედაპირის, სხვა და სხვა სახეები, ტომის ტიპები, მოდელები. ს. ს. ს. რ. ღერბები, ანატომიის მაჩვენებელი სახელმძღვანელოები და სხვ.

სამხატვრო საგნების საწყობმა გადასცა სხვა და სხვა სამხატვრო დაწესებულებებისა და სახალხო განათლების სხვა და სხვა დღესასწაულების დროს 35 ფ. საღებავი, ბევრი სადეკორაციო მასალები, და სხვ.

სპეციალურ მომარაგების განყოფილებამ სექტემბრის პირველ რიცხვებიდან სახალხო განათლების განყოფილებაში სკოლებს შორის გასანაწილებლათ დაარიგა 200,000 ც სახელმძღვანელო წიგნები.

ჩვენი კინო-თეატრი არაფრით არ ჩამოუვარდება მოსკოვისას თავისი მოწყობილობით, მაგრამ აქაც აო გვყოფნის ფული. მიუხედავად ამისა, ამ ხნის განმავლობაში დამზადებულია 12 კინო-ქრონიკა და დიდი სურათი 1700 მეტრი „არსენა ჯორჯიაშვილი".

ჩვენ გვეუბნებოდნენ მუშაობის დაწყებისას: „სკოლებს ვერ გახსნითო". ეხლა კი, ამხანაგებო, ჩვენ ეს სკოლები გავხსენით. მაშასადამე, განათლების სახალხო კომისარიატმა რაღაც გააკეთა, ჩვენ გვეუბნებოდნენ— „არ გექნებათ შეშა", მაგრამ ამ ჟამად შეშაც გვაქვს. ჩვენ მოვიკრიბეთ ძალღონე. ჩვენ გავეცით თეთრეულის მნიშვნელოვანი რაოდენობა, 2000 ც. ელექტრონის ლამპები და ყველაფერი, რაც კი გვაქვს საწყობებში, განაწილდება სახალხო განათლების განყოფილებებს შორის.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ 7 მილიარდი მანეთი, 52 მილიარდის მაგივრად. როდესაც დამტკიცდა მასწავლებლების ახალი განაკვეთები, ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. უნივერსიტეტის ერთი თვის ჯამაგირი აღემატება 209 მილ. მან., ილუპება საქართველოს საუკეთესო შენობა-მუზეუმი. და ამ პირობებში განათლების სახალხო კომისარიატმა მოახერხა სახალხო განათლების განყოფილებებისათვის მიეცა 2 მილიარდ მან. მეტი.

მე შევეხები აგრეთვე სახელმწიფო გამომცემლობას. ჩვენ რომ გვქონდეს მეტი ფონდი, გვყავდეს მეტი ასოთამწყობები, უფრო მეტს გავაკეთებდით, მაგრამ სახელმწიფო გამომცემლობამ მაინც მოახერხა 5,713,000 შეკვეთილ ეგზემპლიარის დამზადება. და ეს მხოლოდ 39 ასოთ-ამწყობით. მთელ ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფო გამომცემლობამ, უმძიმეს პირობებში, დაბეჭდა 510,000 ეგზემპლიარი საგიტაციო, სამხატვრო, სამეცნიერო და სხვა წიგნებისა.

ჩვენი მუშაობის სუსტი ადგილია „ბეჭდვითი ცენტრი". იქ ჰკრია გამოუყენებლად აუარებელი პროვინციებისათვის საჭირო ლიტერატურა. მიუხედავად ამისა, „ბეჭდვის ცენტრმა" გაავრცელა 113.000 ეგზემპლიარი გაზ. „პრავდა გრუზიი", 200,000 მეტი ეგზემპლიარი „კომუნისტი" და 40.000 მეტი ეგზ. საბჭოთა რუსეთის ცენტრალური გაზეთები.

1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე ცენტრალურმა „ბეჭდვითი ცენტრმა" გაანაწილა 64,000 წიგნი: საქართველოს არმიას—3000, პროვინციას—28,000, ს. კ. პ. ც. კ. 2000, პროფსაბჭოს—10.000 მეტი და სხვ.

წიგნების მთელ რიცხვიდან თვით სახალხო განათლების კომისარიატმა აიღო სულ 10,000 ეგზ., რომლიდანაც 7,000 საბავშვოა.

ეხლა გადავდივართ წმინდა საორგანიზაციო საკითხზე: ჩვენ წინ დგას უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა—სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებების მოწყობა. არა უგვიანეს 15 იანვრისა, სამაზრო განყოფილებათა აპარატი საბოლოოთ უნდა მოეწყოს. შენიშნულია დაუშვებელი გარემოება: ადგილობრივი სახალხო განათლების განყოფილებები პოლიტიკურ-განმანათლებელ განყოფილებიდან განცალკევებით მოქმედებენ. აპარატი უნდა იყოს ერთიანი.

ადგილობრივი მართვა-გამგეობა უნდა მოწესრიგდეს აპარატთან მტკიცე კავშირის საფუძველზე. საჭიროა მუშაობის მეთოდს მიექცეს მეტი ყურადღება. სახალხო განათლებლობის გამგეებმა უნდა აწარმოვოს თავის განყოფილებების მთელი მუშაობის სწორი ანგარიში. უკან დაბრუნებისას სახალხო განათლების განყოფილებების გამგეებმა საჩქაროდ უნდა იხელმძღვანელონ ცხოვრებაში გათვალისწინებული გეგმის მეთოდით. განყოფილებების, ქვეგანყოფილებების და სექციების გამგეები გაცნობილი უნდა იყვნენ განათლების ეკონომიკას. სახალხო განათლების ყველა სამაზრო განყოფილებებთან არ შეიძლება დიდი საორგანიზაციო აპარატის შექმნა, ყველგან უნდა არსებობდეს საინფორმაციო-სტატისტიკური განყოფილება ამ აპარატს უთუოდ უნდა შეუერთდეს პოლიტიკურ-პედაგოგიური წიგნთ-საცავი. საჭიროა ინსტრუქტორების ცენტრალიზაცია და არა მათი დაქსაქსვა და რომელიმე განყოფილებასთან მიმაგრება. ეს არ უნდა დარჩეს მხოლოდ იდეათ, არამედ უნდა დღეიდანვე გატარდეს ცხოვრებაში. საჭიროა დამყარდეს მჭიდრო კავშირი სახალხო განათლების ყველა განყოფილებათა შორის.

ამ ჟამად რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო განათლების ყველა თანამშრომლები ვალდებულნი არიან, იცოდნენ სტატისტიკის საფუძვლები და ეს ჩვენშიაც უნდა იქმნას შემოღებული.

მნიშვნელოვანია აგრეთვე პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებთან ჩვენი დამოკიდებულების საკითხი. განათლების მუშაკები უნდა იყვნენ მჭიდროთ დაკავშირებული სახალხო განათლების კომისარიატთან და ადგილებზე კი მის განყოფილებებთან.

დაიხსომეთ ლოზუნგი: „ერთიანი აპარატი, ერთიანი განათლება".

რეზოლიუციები,

მთავარ. სოციალურ განყოფ. მოხსენების შესახებ.

1. მოისმინა რა ამხ ორახელაშვილის მოხსენება მთავარ სოციალურ აღზრდის მართველობის 1922 წ. სამუშაო გეგმის შესახებ, სახალხო განათლების სამაზრო განყოფილების მე 2 ყრილობა აღნიშნავს, რომ სამუშაო გეგმის ძირითადი აზრი დაწესებულებათა რაოდენობისა და მათი მუშაობის თვისებების აღრიცხვის შესახებ სრულიად დროულია და მიზანშეწონილი. ამიტომ მუშაობის ამ ნაწილს სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებებმა უნდა მიაქციონ მეტად სერიოზული ყურადღება.

2. სოციალ აღზრდის მართველობაში საერთო წარმოებითი გეგმის შესაქმნელად ყრილობა წინადადებას აძლევს ყველა სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებებს წარმოადგინონ არა უგვიანეს 1922 წ. 1 იანვრისა ამავე წლისათვის თავისი სამოქმედო გეგმა და დაუდონ საფუძვლად თავიანთ გეგმების შედგენას მხოლოდ ფაქტიურად არსებული, აუცილე[illegible] და თავის დანიშნულების [illegible] დაწესებულებანი. გამაართლებელი [illegible]

3. ყრილობა ავალებს [illegible] სოციალურ აღზრდის მთავარ მართველობას გამოიმუშაოს და გაატაროს ცხოვრებაში მთელი რიგი ზომებისა, რომელიც მიმართული იქნება ბავშვის არსებულ სამოსწავლო და აღზრდის დაწესებულებათა დაცვისაკენ.

4. იღებს რა მხედველობაში ბავშვებისადმი თვალყურის მიუქცევლობის ზრდას და აგრეთვე მუშათა ბავშვებისა დიდ რაოდენობას, რომელიც დარჩა სკოლის გარეშე, ყრილობა საჭიროდ სთვლის გააფართოვოს არსებულ ბავშვთა დაწესებულებების ქსელი; სკოლების, სახლების, ახალშენების და ბაღები. ამ საჭიროებისათვის სახ. განათლების კომისარიატმა უნდა გადასდოს მატერიალური რესურსების მაქსიმალური რაოდენობა.

5 გამოდის რა პოლიტიკის მთლიანობიდან სახალხო განათლების სფეროში, ყრილობას დაუშვებლად მიაჩნია ბავშვთა დაწესებულებების დაცალკავება, მათი გადაცემა პროფკავშირების კულტურულ განყოფილებებზე, სახალხო კომისარიატზე ან სხვა დაწესებულებებზე. ამასთან ერთად ყრილობა საჭიროდ სთვლის სოციალურ აღზრდის მთავარ მართველობის დაახლოვებას პროფკავშირებთან, სოფლის და ქალაქის მცხოვრებთა ორგანიზაციებთან და სახალხო კომისარიატებთან, რომ მათ უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა სწავლა-აღზრდის დაწესებულებათა ეკონომიურ მდგომარეობის მოწყობაში.

6) დეფექტიან ბავშვთა სახლების, ახალშენების სანატორიუმების, დასასვენებელ სახლების და სხვებს. ბავშვთა საექიმო-აღმზრდელ დაწესებულებების მოქმედებას საფუძვლად უდევს სამოსწავლო-აღმზრდელობითი პედაგოგიური მუშაობა. ამისათვის საჭიროა მჭიდრო კავშირის დაჭერა ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებასთან. მაგრამ ყრილობა კატეგორიულად უარყოფს ჯანმრთელობის განყოფილებაზე ამ დაწესებულებათა საორგანიზაციო—ადმინისტრატიულ მუშაობის გადაცემას. რუსეთის გამოცდილებამ ნათლად დაგვანახა ამ დაწესებულებათა სოციალურ აღზრდის მმართველობასთან დატოვების საჭიროება ჯანმრთელობის განყოფილებებს სათანადო აპარატებისა და ძალის უქონლობის გამო არ შეუძლიათ არც სამსახური ამ დაწესებულებების და არც მათი ქსელის გაფართოვება.

7) ცნობილ იქნას დეფექტიან ბავშვების მდგომარეობის გამოუმჯობესებელი მუშაობა დამკვრელად და დაევალოს სოციალურ აღზრდის განყოფილებას მთელი მუშაობა ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში, გახადოს სამაგალითოდ.

8. ყრილობა საჭიროდ სთვლის სოციალურ აღზრდის და პროფგანათლების მუშაობის შეთანხმებას, განსაკუთრებით პროფტექნიკურ სკოლებში ახალგაზრდა მუშებში, ფაბრიკა-ქარხნების სკოლებში, მოწაფეებში და სხვა.

8. ყრილობა სრულიად უერთდება რუსეთის პროკავშირთა მე4 ყრილობის რეზოლიუციას, რომელიც განათლების მუშაკებს ათანასწორებს მნი[illegible]ოვან წარმოებების მუშებთან შეხედ[illegible] სახალხო განათლების და ავალებს [illegible] სასწრაფო ზომე[illegible] კომისარიატს მიიღოს [illegible] ბი განათლების მუშაკების და[illegible] წარმოებების მუშებთან გათანასწორების შესახებ როგორც მატერიალურად ისე უფლებრივად.

10. ყრილობა გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკით მიღებული გადაწყვეტილებები სახალხო განათლების საქმეში შეძლებას მოგვცემს დავძლიოთ არსებული მდგომარეობა და სიღარიბე სოციალურ განათლების სფეროში და მოუწოდებს განათლების ყველა მუშაკებს გამოიჩინონ საჭირო ენერგია და სიმტკიცე,

აღმოსავლეთის ქალთა შორის პასუხისმგებელ მომუშავეთა თათბირი.

12 დეკემბერს 1921 წ. კომინტერნის საერთაშორისო ქალთა სეკრეტარიატის მიერ ქ. თბილისში მოწვეულია აღმოსავლეთის ქალთა შორის პასუხისმგებელ მომუშავეთა თათბირი.

დღის წესრიგი:

1. ფორმები და მეთოდები კომპარტიის მუშაობისა აღმოსავლეთის ქალთა შორის.
2 კომპარტიის ქალთა ორგანიზაციის კომინტერნის საერთაშორისო ქალთა სეკრეტარიატთან ინფორმაცია და კავშირი.
3. ახლო აღმოსავლეთის ქალთა ეკონომიური, უფლებრივ და ოჯახურ მდგომარეობის შესწავლებელი კომისიის ორგანიზაცია და მუშაობის გეგმა.
4. აღმოსავლეთ ქალთა ყრილობა.
5. ქალთა ორგანიზაციის „დამკვრელი" ამოცანები.

მონაწილეობა: დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენაში, ქალთა უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბრძოლაში პროსტიტუციის წინააღმდეგ. მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 22, მესამე სართული, თ. კ. შენობაში. თათბირის დასაწყისი დილის 11 საათიდან).

კომინტერნის საერთაშორისო ქალთა სეკრეტარიატის წევრი ვ. კასპაროვისა. ორგბიუროს მდივანი—ს. დალნაია.

რევკომების ყრილობა

მოხსენებები ადგილებიდან

სენაკის მაზრა

სენაკის მაზრის შესახებ მოხსენებას აკეთებს რევკომის თავმჯდომარე ამხ. მამულია:

სენაკის მაზრის დღევანდელი რევკომი შესდგა 2 აპრილს 5 პირისაგან. რევკომის პირველ მიზანს შეადგენდა აგრარული რეფორმა, რომელიც რევკომი იძულებული შეიქნა თვითონ გადაეწყვიტა დროებით კომუნისტურ პროგრამისა და საბჭოთა რუსეთის გამოცდილების თანახმად. მიწის საკითხის გადასაწყვეტად რევკომმა 5 აპრილს მოიწვია თემის რევკომების კონფერენცია, რომელზედაც გამოიმუშავეს დროებითი ინსტრუქცია ეს ინსტრუქცია, როგორც შემდეგ გამოირკვა არაფრით არ განსხვავდებოდა შემდეგში მთავრობის მიერ გამოცემულ № 17 დეკრეტისასაგან ყველა მისი დამატებებით და განმარტებებით. სულ ჩამოერთვათ მეპატრონეებს და ბობოლებს და გადაეცათ უმიწოებს და მცირე მიწიანებს 9511 ქცევა მიწა. რევკომების ცდა—შემოეღო ზოგიერთ ადგილებში კოლექტიური მეურნეობა, მიუხედავად ამის ხელშემშლელ პირობებისა (მანქანების არ ქონა) მაინც წარჩინებით დაგვირგვინდა. მაზრაში არის 24 კოლექტიური მეურნეობა 290 ქცევა მიწაზე და 10 საბჭოთა მეურნეობა 86 ქცევა მიწაზე. 15 ადგილას არის გახსნილი სამჭედლოები, სადაც მშრომელი გლეხობა აძლევს შესაკეთებლად თავის სამეურნეო იარაღებს. რევკომმა აღრიცხვა დამშეული ოჯახები და გამოიანგარიშა მათი მოთხოვნილებათა ნორმა ახალ მოსავლამდის. შეუდგნენ სიმინდის დამზადებას ცენტრის მიერ მიცემულ საქონლით და ფულით. დაურიგდა დამშეულებს 15,000 ფუთი სიმინდი, სათესად 2,000 ფუთი. გაიგზავნა თბილისში, ქიათურაში და ფოთში 3,500 ფ. სიმინდი. რევკომის შუამდგომლობით მიღებულ იქნა მცხოვრებთათვის დასარიგებლად 500 ფუთი გოგირდი, 2.000 შაბიამანი და 4,500 კოლოფი აბრეშუმის თესლი, სამწუხაროდ ამ უკანასკნელმა დააკმაყოფილა მხოლოდ მოთხოვნილების ერთი მეოთხედი.

სტიქიურ უბედურებამ, რომელიც წილად ხვდა სენაკის მაზრას ცხენისწყლის ადიდების გამო, სამაზრო რევკომის წინაშე მორიგ და გადაუდებელ საკითხად წამოაყენა მდინარის ნაპირების გამაგრება. შუამდგომლობა ამის შესახებ აღძრული იყო ჯერ კიდევ მაისში, მაგრამ ს. მ. უ. ს. მუშაობას შეუდგა მხოლოდ ნოემბრის დასაწყისში, მას შემდეგ, როდესაც მდინარემ გაგლიჯა სხვა ადგილიც. მოუსავლობისაგან მოსალოდნელმა შიმშილმა იძულებულ ჰყო რევკომი თავის დროზე ეზრუნა შემოდგომის თესვის კამპანიისათვის სათესი ხორბლის შესაძენად. ცენტრის წინაშე აღძრული იყო შუამდგომლობა 10.000 ფუთ ხორბლის მოცემის შესახებ ნაცვლად სიმინდისა. ცენტრმა მოგვცა ჯერ 3 ვაგონი ხორბალი, ერთი სესხის სახით პურის მოკრეფამდე და ორი კი სიმინდზე გაცვლით. რევკომის მოწოდებაზე გლეხები ხალისიანად შეუდგნენ სიმინდის მოგროვებას პურზე გადასაცვლელად, და ცენტრი თუ შესძლებს მოგვცეს კიდევ ორი ვაგონი მოთხოვნილების მინიმუმი ამით დაკმაყოფილდება.

რევკომმა ზომა მიიღო 20,000 დესეტინა მიწის მოსარწყავად, რომელიც მდებარეობს მდინარეების ცხენის-წყალს, აბაშის და ტეხურს შორის. მინდვრის სამუშაოსაგან გლეხების თავისუფალი დრო 15 აგვისტოდან—15 ოქტომბრამდე, რევკომმა გამოიყენა გზების, ხიდების და სკოლების შესაკეთებლად. გლეხობა ამ მუშაობას დიდი ენტუზიაზმით შეუდგა.

სამაზრო რევკომის განკარგულებით თემის რევკომები შეუდგნენ შეშის დამზადებას დაწესებულებათათვის იმ თემებში, სადაც იყო საფონდო მიწები. შეუდგნენ აგრეთვე შეშის დამზადებას ქალაქის დაწესებულებებისთვისაც.

დაწესებულებების ყავარით უზრუნველსაყოფად რევკომი შეუდგა მის დამზადებას ქვიბია-ლებარდეს ტყის აგარაკში. უკვე მზად არის და ამ დღეებში ჩამოიტანენ მდინარე ტეხურით 200,000 ცალ ყავარს, რომლის ღირებულებაც უდრის 500,000 მანეთს. ამას გარდა გამოტანილია 700 ხე, რომლებიც მოჭრილი იყო ჯერ კიდევ მენშევიკების დროს და ლპებოდა მდინარე ტეხურის სათავეში, ეს ხეები გადაეცემა სახალხო განათლებას სკოლებისათვის.

ყაჩაღობა და ქურდობა ძლიერ აწუხებდა სამეგრელოს მცხოვრებლებს, შვიდ ყაჩაღების მოთავეთა დახვრეტამ და ექსის შეტაკების დროს მოკლამ დაუკარგა დანარჩენებს ყაჩაღობის და ქურდობის ხალისი. საერთოდ, მენშევიკურ დროსთან შედარებით დანაშაულობა მაზრაში 80 პროცენტით შემცირდა.

სანიტარული გადასახადი შეეხო მხოლოდ გლეხობისე რთ პროცენტს და გადაეცა თბილისის ხაზინას. სასურსათო კამპანიის გატარებას რევკომმა პარტკომთან ერთად მისცა დაკვრითი ხასიათი და ჩაატარა იგი ძლიერ წარჩინებით. გლეხები სასურსათო გადასახადს სრული შეგნებით ეპყრობიან. სიების შედგენა უკვე დამთავრებულია. ისინი გასინჯულია საერთო კრებებზე, სწარმოებს გამოანგარიშება, რომლის დამთავრების შემდეგ 15 დღეში მოიკრიბება მთელი გადასახადი.

ღვდლები განდევნილია სკოლებიდან, თბილისიდან კურსანტების ჩა[illegible] გაიხსნა 3 დღიანი კურსე[illegible] მასწავლებლებს გა[illegible] მოსვლის[illegible]ში მოხდა [illegible] ბი. რომელზედაც [illegible] აცნეს ახალი სკოლა. მა[illegible] გაერთიანება 21 სკოლისა 21 [illegible] ლეს დაწყებით სასწავლებელთან. ყველა თემებში გახსნილია 5, 6—7 სკოლა, მოსწავლეთა კონტინგენტის მიხედვით. გაიხსნა 30 ახალი სკოლა და 100 ახალი კომპლექტი. მაზრაში არის 150 სამკითხველო, რომლებიც უნდა გადაკეთდენ ქოხ სამკითხველოებად, 15 ბიბლიოთეკა, ერთი ბავშვთა ბაღი და განზრახულია კიდევ 6 გახსნა. მასწავლებელთა მდგომარეობა მძიმეა: ისინი მთელი თვეობით არ ღებულობენ ჯამაგირებს.

ლეჩხუმის მაზრა.

რევკომის თავმჯდომარის მოადგილის ფრუიძის მოხსენება.

რევკომი მოეწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათანავე და შესდგება 5 კომუნისტებისაგან. რაიონის რევკომები არ არის, არის მხოლოდ თემების, რიცხვით 15, სამ პირისაგან შემდგარი ამასთანავე ყველგან ისინი შესდგებიან კომუნისტებისაგან. მილიცია უმთავრესათ შესდგება კომუნისტებისაგან და, მიუხედავად იმისა, რომ დღიდან გადატრიალებისა მილიციელებს არ მიუღიათ არც ტანთსაცმელი და არც ფეხსაცმელი, თემებში კი სურსათიც, ისინი სამსახურს ასრულებენ სრულიად დამაკმაყოფილებლად, მთელი თავის არსებით სდგანან რევოლიუციის სადარაჯოზე. მიწად-მოქმედების განყოფილება მუშაობს საშუალოდ. მიწის მზომავებმა თითქმის დაამთავრეს თავიანთი მუშაობა. მიწების განაწილება განზრახულია გაზაფხულიდან, როდესაც დამყარებული იქნება იმის ნორმა. მემამულეებს მიწები ჩამოერთვათ და გადაეცა გლეხებს ნახევრიდან ორ დესეტინამდე. კომუნალური განყოფილება თავიდანვე შეუერთდა ეკონომიურ განყოფილებას. სამეურნეო საშუალებით შეაკეთეს სამი ხიდი და ალპანის გზა, სასოფლო გზების შეკეთება სწარმოებდა ნატურ-ბეგარის საშუალებით. მოწყობილია ტყავების ქარხანა. შეკეთებულია საბჭოთა სახლები მაზრის ცენტრში—ცაგერში; იქვე მოწყობილია საბჭოთა სახელოსნოები; ორი ფეხსაცმელების, სადურგლო და სადალაქო.

ცაგერში არის უმაღლეს დაწყებითი და მაზრაში 4 დაწყებითი სკოლა სკოლის შენობებიც აგრეთვე შეკეთდა ნატურ-ბეგარის საშუალებით.

მასწავლებლები უზრუნველ ყოფილი არიან შეშით მოსახლეობათა მხრიდან, ჯამაგირი მათ არ მიუღიათ სამი თვეა.

ჯანმრთელობის განყოფილების გამგებლობაში არის 2 საავადმყოფო, აფთიაქის ცენტრალური საწყობი და 7 საფერშლო პუნქტი.

[illegible] სასურსათო გადასახადს შეგ[illegible]ება; სიები შედგენი[illegible] შეუდგნენ. [illegible]ნებულად [illegible]აკმაყოფილია და შეგროვებ[illegible]

პოლიტიკური ბიურო [illegible]ფილებლად მუშაობს. სოციალურ უზრუნველ ყოფა საშუალებათა შეზღუდულობის გამო ვერ აფართოებს თავის მუშაობას. პურის მოსავალი საშუალოზე ნაკლებია და თუ პურს არ გამოზიდავენ მაზრიდგან, იგი ეყოფა მოსახლეობას მომავალი წლის ივნის-ივლისამდე. ბანდიტიზმი არ არის, მაზრაში სიწყნარეა. დეზერტირები არის, მაგრამ მალე იქნებიან მოსპობილი. საბჭოთა ხელის უფლებას მოსახლეობა კარგად უცქერის და ელოდება მიწის განაწილებას.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 112.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა სახალხო კომისარიატების შტატების შემცირების შესახებ.

რათა, რაც შეიძლება, სასწრაფოდ და მარჯვედ იქნეს განხორციელებული სამუშაო ხელფასის ახალი სისტემა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატებს—შეამცირონ თავიანთი შტატები იმ ნორმამდე, რომელიც განსაზღვრულია სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ, სახელდობრ:

1. საქართველოს რევოლიუციონური კომისარიატისათვის—100 დე.
2. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატისათვის—1974-დე.
3. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისათვის—3,000-დე.
4. განათლების სახალხო კომისარიატისათვის—5.060 დე.
5. იუსტიციის სახალხო კომისარიატისათვის—1,500 დე.
6. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატისათვის—200 დე.
7. შრომის სახალხო კომისარიატისათვის—126 დე.
8. სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატისათვის—142 დე.
9. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატისათვის—50 დე.
10. ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის—822 დე.
11. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისათვის—2390-დე.
12. სასურსათო სახალხო კომისარიატისათვის—500-დე.
13. ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატისათვის—3294 დე.
14. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსათვის—200-დე.
15. ტფილისის რევოლიუციონური კომიტეტისათვის—360 დე.
16. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსათვის—595-დე.

2. შემცირება ესე განხორციელებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ამა 1921 წლის დეკემბრის 15-სა.

3 ამა წლის დეკემბრის 15-დან დაწყებული სამუშაო ხელფასის ფონდი თვითეული სახალხო კომისარიატისათვის განსაზღვრული იქნება ზემოთ ჩამოთვლილ შტატების რაოდენობის შეფარდებით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე **ა. ერქომაიშვილი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 8.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება

შრომისა და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატებისა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომებზე შრომის ბეგარის გავრცელების შესახებ.

1. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. წითელი ახალგაზრდობის ფურცელი № 33

ორგანო საქართველოს ახალგ. კომუნ. კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტისა

გაწმენდა დაიწყო

გაწმენდა, რომელსაც კარგახანია საჭიროებდა ჩვენი კავშირი, და რომელიც საუკეთესო საშვალებაა ჩვენი ორგანიზაციის რიგების გასამაგრებლათ და უკეთ დასარაზმავათ—უკვე დაიწყო. ყველა ტეხნიკური მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც საჭირო იყო გაწმენდის დაწყებამდის, უკვე შესრულებულია. დაარსებულია ტეხნიკური გამწმენდი კომისია, რომელიც უკვე შეუდგა თავისი მოვალეობას ასრულებას. სამაზრო გამწმენდი კომისიებიც დეკემბრის პირველ რიცხვებიდან მოქმედებენ. რა უნდა აკეთოს ეხლა, ან როგორ უნდა შეხვდეს გაწმენდას კავშირის ყოველი წევრი? აქ რასაკვირველია სრულებითაც არ ვლაპარაკობთ გაწმენდის აუცილებლობის აღიარებაზე, თუ უარყოფაზე, არამედ მასზე თუ როგორი დახმარება უნდა გაუწიოს კავშირმა გამწმენდ კომისიებს და საერთოდ გაწმენდის კომპანიას. ეჭვს გარეშეა, რომ კავშირის მასსამ გაწმენდა საჭიროთ და მომწიფებულათ უნდა სცნოს, ისე როგორც ეს საჭირო შეიქნა პარტიისთვის, და რამაც დიდი სარგებლობა გამოიღო მის გაჯანსაღებაში და ორგანიზაციის მთლიან ერთეულათ ჩამოყალიბებაში. ასეთივე შედეგებს უნდა ველოდეთ კავშირის გაწმენდისაგანაც.

ყველა ხელის შემშლელი და უვარგისი ელემენტები კავშირიდან უნდა განიდევნოს.

კავშირის გამაგრება, მისი გაწმენდა—აი რა უნდა ასულდგმულებდეს კავშირის ყოველ წევრს. სამაზრო გამწმენდი კომისიები თავისთავად ვერაფერს ვერ გააკეთებენ, თუ მათ ამ მუშაობაში თვით კავშირი არ დაეხმარა, თუ თვითეული წევრი არ დაინტერესდა მისი შედეგებით, თუ მან არ იცნო ვალდებულათ თავი სწორი უტყუარ—საფუძვლიან ცნობების მოწოდებაში. ყოველ წევრს უფრო მისი ამხანაგი, თვით ორგანიზაცია იცნობს, მისი ავ კარგი ყველაზე უფრო მან იცის ვიდრე ჩამოსულმა კომისიამ. კომისიის მუშაობის ნაყოფი აუცილებლათ იქნება დამოკიდებული მასზე, თუ რამდენათ შეასრულებენ ყოველივე ზემო ნათქვამს ყველა ორგანიზაციები და მათი ყოველი წევრი. კომისიებს თავის ნებით მართებს დაკვირვებული, აუჩქარებელი მუშაობა და კანონიერი მსჯავრის გამოტანა. ჩვენი კავშირის ყოველ წევრზე გაწმენდის დროს უნდა მიეცეს ყურადღება ადგილობრივ ორგანიზაციების შემადგენლობას, მათ სოციალურ მდგომარეობას. ჩვენი კავშირი არის ორგანიზაცია მუშების და გლეხების, ის ახალგაზრდა მშრომელთა თავშესაფარია, უსაქმურ ელემენტებს მასში ნაკლებათ აქვს ადგილი. მათში საგრძნობ პროცენტს წარმოადგენს აგრეთვე ე. წ. მშრომელი ინტელიგენცია, რომელიც მოსულა მთელი თავისი გულწრფელობით და კეთილი საქმის საკეთებლათ. აი ის სამი მთავარი ელემენტი, რომლებიდანაც შესდგება ჩვენი კავშირი. გაწმენდა ყველას შეეხება. კავშირის არასასურველნი რამოდენიმეთ ყველგან მოიპოვება. მაგრამ აქ უნდა გავარჩიოთ ჩვენი დამოკიდებულება კავშირის შემადგენელ ნაწილებისადმი. ვისზე ვამყარებთ ჩვენ უმთავრეს იმედებს და ვინ უნდა ჩავთვალოთ ყველაზე მეტ საიმედოთ და შეიძლება თუ არა ამ მოსაზრებით სხვა და სხვა გვარი შეზღუდვა გვქონდეს მათზე.

რასაკვირველია, რომ კი. ჩვენ მეტი იმედებით და ნდობით შევყურებთ მუშათა მასსას, ვინემ გლეხურს, რომელიც ერთგვარათ წვრილ ბურჟუაზიული პსიქოლოგიით შეპყრობილია და მეტი ნდობით გლეხებს, სოფლის მშრომელ ახალგაზრდობას, ვინემ ინტელიგენტებს. ეს უპირატესობა ერთის მეორეზე. ასეთი „პრივილეგიები“ ჩვენ რამოდენიმეთ საჭიროთ უნდა ვიცნოთ. ამიტომ გაწმენდის დროს მეტი სიმკაცრით უნდა აეწონ დასწონოთ შეცდომები, ცუდი საქციელი მოწაფეობისა, ამ ახალგაზრდა ინტელიგენტების.

ყველა ამას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, ყოველივე ზემო თქმული უნდა ახსოვდეს განსაკუთრებით კავშირის წევრებს და მხოლოდ ამ შემთხვევაში მივიღებთ იმ შედეგებს, რომლებსაც მოველით ჩვენ კავშირის მიმდინარე გაწმენდისაგან.

დ—გონი.

ვის ირჩევს თბილისის მშრომელნი?

თბილისის საბჭოს არჩევნები უკვე დასრულდა. დღეს თბილისში პირველათ უკვე გაისმა მკვეთრი ხმა მშრომელთა კანონიერი წარმომადგენლობის, მუშათა და წითელარმიელთა საბჭოსი. როგორია შედეგი არჩევნების ან როგორ უყურებენ მას თბილისის მშრომელნი? ჩვენ დავინახეთ ის, რასაც ვფიქრობდით, რაც უნდა მომხდარიყო, რაც საჭირო იყო ნორჩ საბჭოთა ხელისუფლებისთვის.

თბილისის პროლეტარიატმა მიმდინარე არჩევნებში დაამტკიცა და ნათელყო თავისი ერთგულება, სიმპატია და ნდობა კომუნისტურ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლებისადმი. მან საბჭოებში ერთხმათ აირჩია ის, ვინც მას ექომაგება, ვინც დღე და ღამ მის გვერდით სდგას, ვინც მისთვის იბრძოდა, იბრძვის და იბრძოლებს შემდეგში მეტი გაფართოებით, ვინც თავის დროშაზე დააწერა „მშრომელთა განთავისუფლება, მათი კეთილდღეობა“, ბრძოლა ექსპლოატაციასთან, დაჩაგვრასთან და მშრომელთა მატყუარებთან. ვინც დაამტკიცა ეს ყოველივე არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, მხოლოდ საქმით მთელ 4 წლის განმავლობაში რუსეთში და რომელსაც ამტკიცებს ის საქართველოშიაც, ვინც ისწრაფვის მშრომელთა დასაახლოვებათ, მათ შესაკავშირებლათ, მათ შორის ინტერნაციონალურ ურთიერთობის დასამყარებლათ, და ძირშივე ჩასახშობათ სიძულვილისა და ყოველ გვარ ნაციონალიზმის. ასეთები იყვნენ, არიან და იქნებიან მხოლოდ კომუნისტები და არა სხვა ვინმე. თბილისის მუშებმა და წითელარმიელებმა ადრე და საფუძლიანად შეიგნეს ეს უდაო ჭეშმარიტება და ამ მხრივ სათანადო ნაბიჯებიც გადადგეს.

ჩვენმა კავშირმა ამ არჩევნებში კუთვნილი როლი ითამაშა. თბილისის არჩევნებს ეჭვს გარეშეა მოყვება სხვა ქალაქების და საზოგადოთ მთელი რესპუბლიკაში არჩევნები, სადაც ყველაზე მეტათ ვიდრე ოდესმე უნდა გამოიჩინოს მომზადება და ერთგულება კომუნისტურმა კავშირმა და ყველგან ისეთივე რკინის ცოცხით გაარეკოს საბჭოთა ხელისუფლების მტრები საბჭოებიდან როგორც ეს თბილისმა მოიმოქმედა. **სალამი თბილისის მუშათა და წითელარმიელთა საბჭოს, რომელიც შესძლებს გაამართლოს სულ მოკლე ხანში მშრომელთა იმედები.**

კომუნარი.

ჩვენი პრესა

(საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებათა საყურადღებოდ

პრესას საერთოდ განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს და მით უმეტეს ჩვენს პრესას კავშირის მასისთვის. მიზანი ჩვენი პრესისა მხოლოდ მაშინ იქნება მიღწეული და მხოლოდ მაშინ შეასრულებს ის თავის დანიშნულებას როდესაც თვით გავრცელების საქმე სათანადოთ იქნება დაყენებული. ს. კ. კ. ცეკას პრესა განისაზღვრება მხოლოთ ორიოდე ყოველ კვირეული (ქართულ და რუსულ) „ფურცლებით“, რომელიც გამოდის პარტიულ ორგანოების უკანასკნელ გვერდზე და ყოველთვიურ ჟურნალათ. „ფურცლებში“ ჩვენ გვაქვს საუბარი ყოველდღიურ კავშირის, პარტიის თუ საბჭოთა ხელისუფლების ცხოვრების მწვავე და საჭირბოროტო კითხვებზე, რომლის ცოდნა და რომლებზედაც ნათელი და გარკვეული წარმოდგენა აუცილებელია კავშირის თვითეულ წევრისთვის. ჟურნალში, რომელსაც ვუშვებთ ყოველ-თვიურათ, ვათავსებთ უფრო ღრმა შინაარსის, პრაქტიკულ-თეორიულ წერილებს, რომლის შეძენაც საჭიროა კავშირისათვის. კითხვა ისმება, რამდენათ მოაქვს ჩვენ პრესას სარგებლობა და რამდენათ ეტანება მას კავშირის მასსა. ვიმეორებთ დაწერას და გამოშვებას, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ის რაც დაიწერა, შეითხზა არ გავრცელდა და არ იქნა წაკითხული, ამას სამწუხაროთ ვერ ვხედავთ დღეს და ეს გვაიძულებს მიუთითოთ ჩვენს პასუხისმგებელ ამხანაგებს იმ ელემენტარულ საჭიროებაზე, რომელიც მათ ამდენი ხანს ვერ შეუთვისებიათ. მთავარი ის არის, რომ ჟურნალ-გაზეთები არა თუ ჩვენი კავშირის, არამედ პარტიულ და სახელმწიფოებრივ ორგანოებისაც მიზანს სავსებით ვერ აღწევს, მიტომ რომ მისი გავრცელება დღესაც ძლიერ კოჭლობს, ეს კი მიზეზია მისი, რომ სახელმწიფოებრივმა ორგანოებმა, რომლებიც ამისთვის არიან მოწოდებულნი აქამდე ვერ შესძლეს ჟურნალ-გაზეთების მიწოდების მოწესრიგება და ამიტომ ხშირია მაგალითები, რომ ცენტრის ორგანოებს ძლიერ დაგვიანებით იღებს პროვინცია რაიც დიდ ნაკლულევანებათ უნდა ჩაითვალოს. ეს არის ერთ-ერთი ობიექტიური მიზეზთაგანი, მისი რომ სულიერი საზრდო საზოგადოებისთვის რიგზე ვერ არის დაყენებული. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ მიღებულს ჩვენი ორგანიზაციები ვერ იყენებენ ისე, როგორც ეს საჭიროა. „ფურცელს“ და ჟურნალსაც საჭირო სარგებლობა ვერ მოუტანია სავსებით, მიტომ რომ კავშირის ხელმძღვანელმა ორგანოებმა არ იციან მისი მოხმარა. არ კმარა მარტო ის, რომ ყოველმა ორგანიზაციამ გინდ იაჩეიკამ მიიღოს რეგულიარულათ „ფურცელი“ გინდ ჟურნალი, არამედ საჭიროა, რომ გაგებულ იქნას ის თუ რა სწერია შიგ. არ კმარა მარტო დიდრონ ასოებით დაწერილ ლოზუნგების რაც ასე უყვართ ბევრს ჩვენს ამხანაგებს) გადაკითხვა და შემდეგ „ფურცელის“ კუთხეში მივდება. ლოზუნგები თავის თავად არაფერს არ წარმოადგენს, რომელიც ლამაზათ სწერია, ის ჩვეულებრივი ფრაზებია, საქმე ის არის, რომ უნდა გავიგოთ მათი დაწერილებითი მნიშვნელობა, წავიკითხოთ და დავკარგოთ რამოდენიმე წუთი, რომ გავიგოთ შინაარსი იმ „ლამაზ“ ლოზუნგებისა, რომლებზედაც ხშირათ ქვევით გვაქვს ლაპარაკი. არ კმარა მარტო ჟურნალის ყველა ნომრების მოგროვება, მისი გადაფურცლა და სათაურების გადაკითხვა, არამედ საჭიროა გულ დასმით და მოთმინებით გადაკითხვა ხშირად და რამოდენიმეთ, „მოსაზრებელ“ სტატიების, შესწავლა მისი, რისთვისაც დაუხარჯიათ ამდენი ქაღალდი და შრომა.

თუ ეს დღემდის სათანადოთ ვერ არის დაყენებული, ეს ბრალია აგიტ-პროპების, რომელთა უმთავრესი ვალდებულებაა, რომ პრესამ ნაყოფი გამოიღოს. სამაზრო საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს, რათა რაიონულ აგიტ-პროპებმა განახორციელონ ეს წესი ყველა იაჩეიკაში და დროზე გამოასწორონ ნაკლი. სამაზრო აგიტ-პროპ-ბმა ამისთვის მოკლე გასაგები ინსტრუქცია უნდა მიაწოდოს რაიონულ კომიტეტებს, სადაც უნდა განავითარონ აუცილებლობა ამ წესების შემოღების და მისთვის თვალ-ყურის დევნების. ვინაიდან თვითეული იაჩეიკა ხან ღებულობს და ხან ძლივს თითო ეგზემპლიარს, საჭიროა რათა ის იაჩეიკის კრებაზე საერთოდ წაკითხული, გარჩეულ და ახსნილი განმარტული იქნეს ყოველი კითხვა, რომელზედაც არის ლაპარაკი „ფურცელში“, ყოველი სტატია, რომლის მოთავსება ჟურნალში საჭიროთ დაუნახავთ. ამით და მხოლოდ ასეთი წესით შეიძლება ამოწურვა ჟურნალის, „ფურცლების“, შინაარსის და ასეთი წესით სულ უბრალოთ შევიძლია მივიღოთ ის შედეგი, ნაყოფი, რომელსაც ჩვენ ჩვენი პრესიდან გამოველით. ყველა ამას უნდა ხელმძღვანელობდეს სამაზრო და სარაიონო საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებები და უფრო მონდომებით და ენერგიით მოეკიდოს მას, ვიდრე დღემდე.

20 ნოემბრის დღესასწაული პროვინციაში

ვანის რაონი.

ამა წ. 21 ნოემბერს შესდგა მესამე რაიონული კონფერენცია ახ. კომკავშირისა. კონფერენციას დაესწრო სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელი.

დღის წესრიგში იდგა სხვა და სხ. საყურადღებო საკითხები, როგორიც არიან: ორგანიზაციული საკითხები მონაწილეობის მიღება საბჭოთა აღმშენებლობაში, რაიკომის ანგარიში, მოხსენებანი ადგილებიდან და არჩევნები და კიდევ სხვა საკითხები. კონფერენციაზე ღირსეულად გაშუქებულ იქმნა მომენტი. მოსმენილ იქმნა რაიკომის მოხსენება და კონფერენციამაც რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. მოსმენილ იქმნა აგრეთვე მოხსენება, საქართველოს, ამიერ-კავკასიის და რუსეთის ყრილობიდან, აგრეთვე გათვალისწინებულ იქმნა მომავალი მუშაობის გეგმა. არჩეულ იქმნა ახალი რაიკომი. საერთოდ ამ კონფერენციას 1-ლ და მეორე კონფერენციებთან ის უპირატესობა მიუძღვის, რომ ის იყო უფრო მრავალ რიცხოვანი და მასში მონაწილეობას იღებდა სულ ახლად დაარსებული იაჩეიკები. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ კონფ. შემდეგ მუშაობა უფრო წინ წაიწევს ნაყოფიერებისაკენ.

გ. ხულორელი.

—

ფოთში.

საქართველოს კომკავშირის არსებობის ოთხი წლის თავს დიდის ენტუზიაზმით შეხვდა ფოთის მშრომელი ახალგაზდობა. დღესასწაული იქნა ჩატარებული შემდეგი შინაარსით: დილის 11 საათზე ახალგაზდათა კომკავშირის წევრები უკლებად დაირაზმენ სამხედრო განყოფილების უფროსის ხელმძღვანელობით, მუსიკის ინტერნაციონალის შესრულებით გაემგზავრენ პარტიული კომიტეტის შენობისაკენ, სადაც მათ შეუერთდა ყველა პარტიული ორგანიზაცია, განსაკუთრებით რაზმი და სხვა საბჭოთა დაწესებულების მოსამსახურეები.

კავშირის კლუბის წინ გაიმართა აღლუმი კავშირის სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელის ამხ ჯაიანის ხელმძღვანელობით. აღლუმი მიიღო პასუხის მგებელ მდივანმა, რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, პარტკომის პასუხის მგებელ მდივანმა და განსაკუთრებითი დანიშნულების რაზმის ხელმძღვანელის მოადგილემ. შემდეგ გახსნა მიტინგი კომკავშირის მდივანმა და მიულოცა კავშირის წევრებს დღესასწაული, შემდეგ ილაპარაკეს განათლების განყოფილების გამგემ. ამხ. მუსერიძემ, კავშირის წევრებმა ქორქიამ და შაშაშვილმა. უკანასკნელმა წაიკითხა საკუთარი ლექსი; ილაპარაკა სხვათა შორის პეტროგრადის მუშათაგანმა ამხ. ნატალინმა და სხვა.

საღამოს 4 საათზე შესდგა შეერთებული კრება ადგილობრივ თეატრის დარბაზში კომკავშირის და პარტიული ორგანიზაციის წევრებისა, სადაც პარტიული ორგანიზაციის ურთიერთობის შესახებ გააკეთა მოხსენება ამხ. ქორიძემ, კრებამ ერთსულოვნათ შეხვდა მას და რეზოლიუციაში მოუწოდეს ყველა პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებებს, რათა აღმოუჩინონ ყოველნაირი დახმარება კავშირს.

6 საათზე კრება დაიხურა და 7 საათზე იყო საჯაროთ ბულვარში ნაჩვენები პროექტორის საშუალებით ლოზუნგები კავშირისა.

საღამოს ადგილობრივ ქალაქის თეატრში იქნა გამართული მიტინგ-კონცერტი, 20 ნოემბრის მნიშვნელობაზე, რის შემდეგ ხალხი ფრიად კმაყოფილი დაიშალა.

დამსწრე.

პროვინციის ხმა

როგორც კომუნისტური პარტია, აგრეთვე კომუნისტური კავშირი საქართველოში, დიდი ხალისით ეგებება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას, რასაც ნათლად ამტკიცებს მტკიცე კავშირი პროვინციებისა ამ საკითხთან. ე. წ. 8 დეკემბერს მოხდა კრება კომკავშირ-ქუთაისის ორგანიზაციისა, სადაც იყო მოხსენება ფედერაციის შესახებ, რასაც დიდი ხალისით შეეგება ქუთაისის მშრომელი ახალგაზრდობა და სთქვეს თავიანთი მუშურ-გლეხური სიტყვა. გამოიტანეს რეზოლიუცია, სადაც აღნიშნავენ, რომ ქუთაისის ორგანიზაცია დიდი ხალისით ეგებება ამ სრულიად მომწიფებულ საკითხს და ხელს შეუწყობს საბჭოთა მთავრობას მის ცხოვრებაში გასატარებლად.

მეკოგი.

ჩვენს კავშირში

ქუთაისის მაზრა.

სრულიად საქართველოს კომკავშირის პირველი ლეგალური ყრილობის შემდეგ ქუთაისის მაზრაში ორგანიზაციული მუშაობა უფრო ჩქარი ტემპით სწარმოებს. ამ მაზრაში განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს პოლიტიკური უცოდინარობის ლიკვიდაციას, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო და ორგანიზაციას ამ მხრით უფრო გამოფხიზლება დაეტყო. სასურველათ მიმდინარეობს ეკონომიურ-უფლებრივი განყოფილების მუშაობა და თითქმის ცხოვრებაში გატარებულია სრულიად ყველა ის დეკრეტები, რომელნიც ეხება მშრომელ ახალგაზრდობას და მათ შრომის დაცვას ქუთაისის მაზრაში, სასურველათ ჩატარდა საქართველოს ოთხი წლის თავის დღესასწაული, ყველა რაიონებში მოეწყო მიტინგები, სადაც იყო მოხსენებები ამ საკითხის გარშემო, რასაც მშრომელი ახალგაზრდობა რევოლიუციონური ხალისით ეგებებოდა და აცნობდა საზოგადოებას თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ოთხი წლის თავს საქართველოს კომკავშირისას. უნდა ვსთქვათ, რომ ამ მაზრაში მუშაობა ყოველ რაიონში სასურველათ მიმდინარეობს, მხოლოდ სხვადასხვა მიზეზების გამო სუსტობს ბაღდადის რაიონი, რისთვისაც მიღებულია სასწრაფო ზომები გამოსასწორებლათ.

მცოდნე.

—

ოზურგეთის მაზრა.

ჩვენი დღესასწაული ქ. ოზურგეთში

მიუხედავათ ცუდი ამინდებისა, ოთხი წლის თავი ჩვენი კავშირის ოზურგეთის ორგანიზაციამ კარგად იდღესასწაულა. 20 ნოემბერს 3 საათზე „ბაქოს კომუნარების“ სახელდობრ კლუბში გაიხსნა სადღესასწაულო სხდომა ოზურგეთის ახალგაზრდათა ორგანიზაციის.

სხდომას დაესწრო პარტიის წევრები და უპარტიო ახალგაზრდა მუშები.

სხდომას ხსნის ამხ. ს. ო—ძე, რომლის შემდეგ ლაპარაკობს ამხ. ვ. გორდელიძე, ის აღნიშნავს საერთაშორისო ახალგაზრდობის მოძრაობას, და ოთხი წლის ბრძოლის ისტორიას. შემდეგ ამხ. ვ. გოგიშვილი ახასიათებს გურიის ორგანიზაციის მოღვაწეობას ამ ოთხი წლის ბრძოლაში, და ამბობს, რომ მეხუთე წელში გურიის ორგანიზაციები ენერგიულათ იმუშავებს მომავალი ამოცანების ასრულებაშიო. სხდომას პარტკომის წარმომადგენელი ამხ. ვ. თავართქილაძე ულოცავს 20 ნოემბერს და იმედოვნებს, რომ ახალგაზრდათა კომკავშირი თუ მაშინ გვაძლევდა იმედს როდესაც ჩვენი საუკეთესო ამხანაგები ციხეში იყვნენ; დღეს ის ამაყათ შეაცურებს გემს აღთქმულ ქვეყანაში.

ამის შემდეგ სხდომა უგზავნის ცეკას მისალოც დეპეშას.

საღამოს 7 საათზე სახელმწიფო თეატრში გაიმართა მიტინგ-კონცერტი, სადაც ილაპარაკეს კომკავშირის, პარტკომის და წითელ არმიელების წარმომადგენლებმა. წაკითხულ იქნა ლექცია „საერთაშორისო ახალგაზრდათა მოძრაობა და მეორე ინტერნაციონალი“ ამხ. გორდელაძის მიერ. წარმოდგენილ იქნა რუსულ ენაზე წითელ არმიელების მიერ წარმოდგენა. გუგუნებდა ჰიმნი, „ინტერნაციონალი“.

დიდათ კმაყოფილი საზოგადოება დაიშალა 12 საათზე.

ორალი.

ორშაბათს 12 დეკემბერს

სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში ამხ. შურა დუდუჩავა წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე.

„იმპერიალიზმი და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები“.

ძირითადი დებულებანი:

1. მსოფლიოში გაბატონებულია საბოლოო ფორმა კაპიტალისა—**მონოპოლისტური კაპიტალიზმი.**
2. იმპერიალიზმმა, როგორც გამოვლინებამ მონოპოლისტური კაპიტალიზმის შინაგანი ტენტენციებისა—შეასრულა თავისი ისტორიული მისსია—მსოფლიოს დაყოფვა კაპიტალის მაგნატთა შორის.
3. ბურჟუაზიის საგარეო პოლიტიკამ დასცა და გაანიავა საწარმოო ძალები, რომლის აღდგენა შეუძლია პროლეტარიატს, როდესაც ის გახდება ძალა-უფლების სუბიექტი.
4. კაპიტალიზმის აღდგენა ულტრა-იმპერიალისტურ ფორმებში—უტოპიაა.
5. სამრეწველო კაპიტალის გაბატონება სამეურნო ცხოვრებაში არის რეაქცია ეკონომიური.
6. ანტანტის პოლიტიკური დაშლა და კაპიტალიზმის სიდამბლე—აი მოტივები პროლეტარიატის დიქტატურისა.
7. პროლეტარიატის დიქტატურის უნივერსალურ მასტაბში განხორციელება—საუკეთესო ნიადაგია საქართველოს მშრომელის კეთილ დღეობისა.
8. პოლიტიკური დიქტატურამ იცის მხოლოდ ერთი ფორმა—საბჭოთა სისტემა.
9. ფედერაცია ერთ-ერთ სწორი გზაა ქართული ეროვნული კულტურის და ენერგიულ ინდივიდუალობის სრული ყოფვისა.
10. ფედერაცია არ უარყოფს დამოუკიდებლობას.

ლექციის დასაწყისი საღამოს 6 საათზე. დასწრება შეუძლია ყველას.

საქართვ. ახალგაზრდ. კომკავშირის ც. კ.

შევრდომნი შრომის ბეგარის (კერძოდ ტვირთზიდვის ბეგარის) შესახებ არსებულ კანონებს და წესებს ექვემდებარებიან საქართველოს ქვეშევრდომებთან თანაბრად.

შენიშვნა: უცხოელი, რომელიც ჩამოსულია საქართველოში მოკლე ხნით, სავაჭრო ან სხვა რაიმე განსაზღვრულ საქმისათვის, შრომის ბეგარას არ იხდის.

2. აკრძალულია უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების ისეთ ბეგარაზე გამოყვანა, რომელსაც დამოკიდებულება აქვს რესპუბლიკის თავდაცვის საქმესთან, მაგალითებრ: სამხედრო სიმაგრეთა აშენებისა, თხრილების გაკეთების დროს და მსგავს შემთხვევაში.

3. შრომის ბეგარა არ ეხება უცხო სახელმწიფოთა იმ ქვეშევრდომებს, ვინც მუშათა და გლეხთა მთავრობასთან არსებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობის სიებში (ელჩი და საელჩო მოსამსახურე პირნი) ირიცხება და აგრეთვე უცხო სახელმწიფოს გენერალურ კონსულებს, კონსულებს და ვიცე-კონსულებს, გარდა საქართველოს მოქალაქე კონსულებისა.

4. უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეებად, ვისაც ეს დადგენილება ეხება, ითვლებიან მხოლოდ ის პირნი, რომელთაც აქვთ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან სათანადო მოწმობა.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი **ა. სვანიძე.**

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. მიქაძე.**

შრომის კომისარიატის საქმეთა მმართველი **მ. ბერძნიშვილი.**

სარედაქციო კოლეგია.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი »ნაძალადევი« ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 »მუშათა კლუბის« შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

დეკემბრის 15 საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი

იწვევს ქალ. ტფილისში შრომის განყოფილებების გამგეთა ყრილობას.

ყრილობის დღიური წეს-რიგი:

1. შრომის სახალხო კომისარიატის საერთო მოქმედების შესახებ მოხსენება.
2. შრომის სახ. კომისარიატის მოქმედება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში.
3. მოხსენებანი ადგილებიდან.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. შრომის ბეგრის შესახებ.
6. მუშათა ძალის აღრიცხვის შესახებ.
7. მიმდინარე საქმეები.

მთავარი დამზღვევი კასა

ყველა სამაზრო პროფბიუროებს და დამზღვევ კასების (საავათმყოფო კასების) გამგეობებს

ქალაქ თფილისის მთავარი დამზღვევი კასის ახალი გამგეობა თავის ბინაზე (ბარიათინის ქუჩა, № 6 20 დეკემბერს იწვევს სრულიად საქართველოს

დამზღვევ კონფერენციას

კონფერენციის დღის წეს-რიგი:

1. მთავ. დამზღვ. კასის გამგეობის საინფორმაციო მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ.
2. მოხსენებები ადგილებიდან.
3. მიმდინარე მომენტი და მუშათა სოციალური დამზღვევის ამოცანები.
4. შრომის დაცვა და სოციალური დაზღვევა.
5. საორგანიზაციო საკითხები.
6. მიმდინარე საკითხები.

წარმომადგენლობის ნორმა

1. თვითეული სამაზრო პროფბიურო აგზავნის ერთს წარმომადგენელს
   შენიშვნა 1. იქ, სადაც არსებობს დამზღვევი კასის გამგეობა—წარმომადგენელი იგზავნება ამ უკანასკნელის შემადგენლობიდან.
   შენიშვნა 2. ჭიათურისა და ტყიბულის კასების გამგეობები აგზავნიან უშუალოდ ორ-ორ წარმომადგენელს.
2. დელეგატებს უნდა ჰქონდეთ სათანადო მანდატები.

გამგეობა.

ტირაჟი 10,09 ნ. დ. ს. ც. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტეინის ქ., № 5.